ყოველდღიური გაზეთი
# ახალი თაობა
Akhali Taoba
akhalitaoba.ge
ხუთშაბათი, 14 ივლისი, 2022
№137 (8915)
ფასი: 80 თეთრი

## „კრიმინალურ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი 7 პირი დააკავეს



გვ.5

# „ქართულ ოცნებას“ დასავლეთმა ექვსთვიანი ვადა მისცა, რომ ხელისუფლებიდან მშვიდად წავიდნენ“




ლადო სადღობელაშვილი: „ვურჩევდი „ოცნებას“, საკუთარი ნებით ჩაიწერონ ვადამდელი... გასაქცევად ექნებათ მალე საქმე, ქვეყანაში ფეხს ველარ შემოადგამენ“



გვ.3

„ციხიდან ბევრი მირეკავს და მეუბნებიან, რომ ძალიან მძიმე მდგომარეობაა, იქაური ექიმები პატიმრებს საერთოდ არ აქცევენ ყურადღებას“

## „ივანიშვილის სანქცირება და ქუჩის უწყვეტი აქციები შედეგს აუცილებლად გამოიღებს“



„30 წელია, ვერა და ვერ შევძელით დემოკრატიის უმთავრესი საფუძვლის, დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ნდობის მქონე სასამართლო სისტემის შექმნა“

ლაშა ჩხარტიშვილი: „არ იყო სწორი ოპოზიციის გარიყვა იმ აქციებიდან. ოპოზიციამ პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე უნდა აიღოს“



## „პუტინმა ისტორიული შეცდომა დაუშვა“



პოლონეთის ექსპრეზიდენტი ალექსანდრე კვასნევსკი: „კრემლში გადატრიალების მოწყობა გენერლებსა და ოლიგარქებს შეუძლიათ“

„ეს ომი რუსების სცენარის მიხედვით არ მიმდინარეობს“

## მაიკლ გალერი:

„საქართველოს ხელისუფლება პასუხისმგებელია მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე“

გვ.3





გვ.4

ლევან ვარშალომიძეს, სავარაუდოდ, სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყდება



გვ.5

## პოლონეთში საქართველოს მოქალაქე დააკავეს

ქართველ „კურიერს“ 15 ერაყელი საზღვარზე უკანონოდ გადაჰყავდა

1993230720223

5 ოზურგეთში გამგებელს კაბინეტიდან ტელევიზორი მოპარეს

6 რუსებმა უკრაინაში 249 ბავშვი მოკლეს

3 „ალტ-ინფოს“ ლიდერები მოსკოვში ჩავიდნენ

5 გორი-ატენის გზა გადაიკეტა

6 ზელენსკი: „მტერს ამ დრომდე არ აქვს გამბედაობა, აღიაროს დამარცხება“

# „ივანიშვილის სანქცირება და ქუჩის უწყვეტი აქციები შედეგს აუცილებლად გამოიღებს“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „არ იყო სწორი ოპოზიციის გარიყვა იმ აქციებიდან. ოპოზიციამ პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე უნდა აიღოს“

ნათია ხურცილავა

**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ლაშა, როგორ ფიქრობთ, რამდენად არის მზად ხელისუფლება, დათმობაზე წავიდეს და სასამართლო სისტემაში რეალური რეფორმა გაატაროს?***

– გამორიცხულია. ეს ხელისუფლება ვერანაირ სასამართლო რეფორმას ვერ გაატარებს. ვერ და არ გაატარებს. თურმე, როგორც გვითხრეს, სასამართლოში მოსამართლეთა რაოდენობა ყოფილა პრობლემა და არა ჩინჩალაძე-მურუსიძის კლანი, რომლის იქით ვერავინ ვერაფერს გახდება სასამართლო სისტემაში. ის ყველაფერი, რაც დღეს გვესმის, უნიჭო იმიტაციაა იმ ტალღების, რომელმაც აგერ უკვე ხუთი წელია, „წაგვლეკა“. რას ემსახურებოდა ის ტალღები, რომელიც წულუკიანის ხელმძღვანელობით გატარდა?! ის არ იყო რეფორმა?! მაშინ რეფორმა რატომ დაარქვეს, თუ ახლა გვატყუებენ, როდის გვატყუებდნენ, ჩამოყალიბდნენ.

***– რა უნდა მოხდეს, რომ რეალური რეფორმა გატარდეს?***

– ახალი ხელისუფლებაა საჭირო, მაგრამ არც ახალი ხელისუფლება არ გაატარებს რეფორმას, თუ პარლამენტში უმრავლესობა ეყოლება. თუ ხელისუფლება იქნება ერთი კონკრეტული პარტიის, ანუ ამ ერთ კონკრეტულ პარტიას თუნდაც ერთი კაცით მეტი ეყოლება პარლამენტში, ვერანაირი რეფორმა სასამართლო სისტემაში ვერ გატარდება.

ნებისმიერი ახალი ხელისუფლება, ვინც არ უნდა იყოს, სულ ანგელოზებით რომ იყოს დაკომპლექტებული, მერწმუნეთ, სასამართლოს დაიმორჩილებს და ჯიბეში ჩაიდებს. ეს რომ არ მოხდეს, ამისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ ხელისუფლების ცვლილება. ხელისუფლებაში



კოალიციური მმართველობაა საჭირო და ამ კოალიციაში შემავალი პარტიებიდან არავის არ უნდა ჰყავდეს ერთი დეპუტატით მეტი. ერთმანეთს უნდა აბალანსებდნენ და აკონტროლებდნენ. 30 წელია, ვერა და ვერ შევქმენით დემოკრატიის უმთავრესი საფუძვლის, დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ნდობის მქონე სასამართლო სისტემის შექმნა. მიზეზი იყო ყოველთვის ის, რაც უკვე გითხარით. თუ დამოუკიდებელ და საზოგადოებისთვის ავტორიტეტულ სასამართლოს ვერ შევქმნით, არაფერი არ გამოვა, ყველაფერი იქნება ფასადური. ეს, იცით, როგორ არის? როგორც სახლის აშენება – საძირკვლიდან უნდა დაიწყო.

***– პროცესი ჩიხიდან რომ გამოვიდეს და ყინული დაიძრას ხელისუფლება-ოპოზიციას შორის, თქვენი აზრით, რა უნდა მოხდეს?***

– მე ერთადერთ გამოსავალს ვადამდელ არჩევნებში ვხედავ, მაგრამ იქამდე უნდა მივიდეთ, ანუ უნდა შეიცვალოს კონსტიტუცია, მაგრამ კობახიძემ გვითხრა, რომ კონსტიტუცია შეიცვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირი სტატუსს მოგვცემს. „ქართული ოცნება“ საარჩევნო კოდექსს არ შეცვლის. პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა ბლეფია. ამიტომ პარლამენტში მყოფი ოპოზიცია უნდა გამოვიდეს და თქვას, თუ საკონსტიტუციო ცვლილებები არ იქნება, თუ პროპორციულ სისტემაზე არ გადავალთ, ვტოვებთ პარლამენტს და ქუჩაში გავდივართო. სიმართლე გითხრათ, აქამდე რას ელოდებიან, ვერ ვხვდები. დრო უნდა დაუნიშნოს ვინმემ ამ ხალხს, გამოსვლის დრო!

***– „ქართულ ოცნებას“ ულტიმატუმი უნდა წაუყენონ?***

– რა თქმა უნდა. პირველი მოსმენით კენჭი ნაყარია კონსტიტუციური ცვლილებებისთვის. ოპოზიციამ უნდა თქვას, კანონი თუ არ გავა პარლამენტში, ყველა დონეზე, საკრებულოებში, ყველგან ვტოვებთ წარმომადგენლობით ორგანოებს და გადავდივართ პროტესტის უკიდურეს რეჟიმზეო.

***– პროტესტის რა ფორმა შეიძლება იყოს?***

– პერმანენტული, უწყვეტი აქციები რუსთაველზე. რუსთაველი უნდა გადაიქცეს „კარვების ქალაქად“. აქციები და სანქციები მგონია გამოსავალი. ივანიშვილის სანქცირება და ქუჩის უწყვეტი პერმანენტული აქციები შედეგს აუცილებლად გამოიღებს. ვადამდელ არჩევნებს ვგულისხმობ, ცხადია, შეცვლილი საარჩევნო სისტემითა და დაბალი საარჩევნო ბარიერით.

დეოლიგარქიზაცია ხომ არის ერთ-ერთი მთავარი პუნქტი. ამის შესრულება შეუძლებელია ვადამდელი არჩევნების გარეშე. ეს ხომ ცალსახაა. ვის სჯერა ივანიშვილის კეთილი ნების, რომ პოლიტიკიდან წავა.

***– „ქართული ოცნება“ ამბობს, რომ დეოლიგარქიზაცია საერთოდ არ ეხება ივანიშვილს. ისინი სხვებზე, ოპოზიციის ლიდერებზე საუბრობენ.***

– ეს ზღაპრები ოჯახის წევრებს მოუყვნენ. აბა მე ვცვლი და ვნიშნავ პრემიერებს?! ან იმ სამი დეპუტატი რომ აუმხედრდა მთელ დასავლეთს, ამერიკას, ევროკავშირს, ეს სულ ჩემი დავალებით ხდება? ამის არავის არ სჯერა. ეს მოცემულობა თუ არ შეიცვალა, ევროკავშირი სტატუსს კი არა, არაფერს არ მოგვცემს და ვიქნებით რუსული ორბიტის ქვეშ.

აქციები და უმწვავესი პროტესტია დასაწყები. დრო არ ითმენს. საჭიროა ყველას ჩართვა ამ პროცესში – სამოქალაქო სექტორის, ოპოზიციის, საზოგადოების, თითოეული ადამიანის, რომ შედეგი დადგეს. ახლა გარიყვის დრო არ არის. არ იყო სწორი ოპოზიციის გარიყვა იმ აქციებიდან, რადგან პოლიტიკაში გამოცდილება ძალიან მნიშვნელოვანია. ორგანიზების, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ოპოზიციამ პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე უნდა აიღოს.

### „30 წელია, ვერა და ვერ შევძელით დემოკრატიის უმთავრესი საფუძვლის, დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ნდობის მქონე სასამართლო სისტემის შექმნა“

# ნოლაიდელი ივანიშვილის დეიდაშვილთან ახლო ნაცნობობას ადასტურებს

ექსპრემიერის სკანდალური ჩვენება – ზურაბ ნოლაიდელი ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილთან ახლო ნაცნობობას ადასტურებს.

უჩა მამაცაშვილთან კავშირებზე საუბარი ზურაბ ნოლაიდელს სხდომათა დარბაზში მოუწია.

კორუფციის მკვლევარების ინფორმაციით, ოლიგარქის დეიდაშვილისა და ყოფილი ხელისუფლების პრემიერ-მინისტრის გზები ბიზნესში წლების წინ გადაიკვეთა და ამ თემაზე არაერთი ჟურნალისტური გამოძიება ჩატარდა.

მესამე სექტორის ინფორმაციით, საქმე ეხება აზერბაიჯანიდან ელექტროენერგიის იმპორტს, საიდანაც ნოლაიდელ-მამაცაშვილის შუალედურ კომპანიაში მილიონები ილექება, დენი კი მოსახლეობისთვის ძვირდება.

სასამართლოში ნოლაიდელმა უჩა მამაცაშვილთან ბიზნესკავშირები უარყო.

– უჩა მამაცაშვილს ვიცნობ, თუმცა საქმიანი ურთიერთობა არ მქონია, ბოლოს გასვენებაში ვნახე. მას საქმიანი ურთიერთობა არ ჰქონია ჩემს კომპანიასთან არასდროს, ამას ვაცხადებ აბსოლუტურად და სრულად, – განაცხადა ნოლაიდელმა.

ყოფილი პრემიერი სასამართლო დარბაზში დასმული შეკითხვების გამო რამდენჯერმე გაღიზიანდა და თქვა, რომ შუამავლების დახმარება არ სჭირდება, რადგან ყველაზე იაფად ელექტროენერგია მის კომპანიას შემოაქვს.




სასამართლო დარბაზში დასმული შეკითხვებით გაღიზიანებულმა ნოლაიდელმა ჟურნალისტებთან კომენტარი არ გააკეთა და აღნიშნა, რომ დაიღალა, მან სასამართლოზე უკვე ყველაფერი თქვა.

# შალვა პაპუაშვილი: „ოპოზიციის ნახევარი საზღვარგარეთ არის“

– რაზეც ისინი საუბრობენ, არის უბრალო რადიკალიზაციის სურვილი, ოპოზიციის ნახევარი საზღვარგარეთ არის, ამიტომ არ მგონია, მათ ჰქონდეთ რიგგარეშე სესიის მოწვევის რეალური გეგმა.

ასე აფასებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი ინფორმაციას, რომლის თანახმად, ოპოზიცია პარლამენტის რიგგარეშე სხდომის მოწვევის მოთხოვნით პრეზიდენტს მიმართავს.

შალვა პაპუაშვილის შეფასებით, ოპოზიცია უმრავლესობის გარეშე ვერანაირ კანონს ვერ მიიღებს, შესაბამისად, ალტერნატივა გარდა იმისა, რომ სამუშაო პროცესის მონაწილეები იყვნენ არ აქვთ. მისივე თქმით, ერთადერთი, ვინც დღეს ისვენებს, „რადიკალური ოპოზიციაა“.

– უკვე იმდენი ხანია ამაზე საუბრობენ. მალე მოვა შემდეგი სესია და, მგონი, მორიგ სესიამდე ვერ შეთანხმდებიან იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ დღის წესრიგი არ გააჩნიათ. რაზეც ისინი საუბრობენ, არის უბრალო რადიკალიზაციის სურვილი, ოპოზიციის ნახევარი საზღვარგარეთ არის, ამიტომ არ მგონია, მათ ჰქონდეთ რიგგარეშე სესიის მოწვევის რეალური გეგმა.



უკვე ინიცირებული პროექტის განხილვა არის არაინკლუზიური, პოლარიზაციის ხელშემწყობი მიდგომა. რაც არ უნდა რიგგარეშე სესიის მოწვევა უნდოდეთ, უმრავლესობის გარეშე ვერანაირ კანონს ვერ მიიღებს ოპოზიცია, შესაბამისად, ალტერნატივა გარდა იმისა, რომ იყვნენ სამუშაო პროცესის მონაწილე არ აქვთ. რიგგარეშე სესიაზე ისე საუბრობენ თითქოს პარლამენტი ისვენებს, ერთადერთი ვინც ისვენებს არის რადიკალური ოპოზიცია, ვხედავთ, რომ ისინი არ მუშაობენ, – აღნიშნა შალვა პაპუაშვილმა.

# ლეგიტიმური უფლებაა, გააკეთო ის, რაც მოხდა შრი-ლანკაში



– ჩემი პატივისცემა მინდა დავუდასტურო და მადლობაც ვუთხრა იმ ხალხს, ვინც ყველაფერი ჩადო, რაც იცოდა და როგორც შეეძლო ამ აქციის ორგანიზებაში. ამ ხალხმა შრომა გასწია და არ მინდა, ჩემი საუბარი ისე გამოვიდეს, რომ აი, რაღაცა პედესტალზე მაღლა ვდგავარ და ახლა ჭკუას ვასწავლი ვიღაცას. ახლა ჩვენ ვსაუბრობთ პოსტფაქტუმ და პოსტფაქტუმ საუბარიც იოლია, – განაცხადა ისტორიკოსმა, ილიას უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა ბექა კობახიძემ გადაცემა „ღამის მთავარში“ სტუმრობის დროს.

როგორც ისტორიკოსმა აღნიშნა, 17 ივნისს იყო ის მომენტუმი, როდესაც შესაძლებელი იყო შრი-ლანკაში მომხდარი სცენარი საქართველოშიც განმეორებულიყო, თუმცა, მისი განმარტებით, ეს მომენტუმი ხელიდან იქნა გაშვებული.

– ამ გადმოსახედიდან ჩანს, რომ ყველაზე ოპტიმალური იქნებოდა 17 ივნისს, როცა გაცხადდა, რომ კანდიდატის სტატუსს ვერ ვიღებთ, 17 ივნისს კიდევ უფრო დიდი მუხტი იყო, ვიდრე 20-ში. ასეთი მომენტუმი ალბათ იყო 17 ივნისი. 17 ივნისს სპონტანურად უნდა მომხდარიყო. აი, გაცხადდა ეს ხო, გავედით ყველა. ხელისუფლებამ დაარღვია კონსტიტუცია, პატარა რაღაც კი არ მოხდა, კონსტიტუცია არის დარღვეული, მიზანმიმართულად. არ გაქვს ინსტიტუტები, ეს იქნება თავისუფალი სასამართლო, თუ საგამოძიებო უწყებები, რომლებიც ამით, თუნდაც, დაინტერესდებიან, გამორიცხულია, ამას ვერ გააკეთებ და შესაბამისად, ასეთ დროს, უკვე ლეგიტიმური უფლებაა, გააკეთო ის, რაც მოხდა შრი-ლანკაში, ანუ 17 ივნისი იყო ეს მომენტუმი, თუ რაღაც მოკლე ვადაში გარდატეხის საშუალება იყო, ალბათ ეს უნდა მომხდარიყო 17 ივნისს. თუმცა, ამას მე ვსაუბრობ ერთი თვის შემდეგ და 17 ივნისს ამის მიხვედრა, ან ამის გარისკვა ორგანიზატორების მხრიდან შეიძლებოდა, არ ყოფილიყო მარტივი, – განაცხადა ბექა კობახიძემ.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგვარაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ქართულ ოცნებას“ დასავლეთმა ექვსთვიანი ვადა მისცა, რომ ხელისუფლებიდან მშვიდად წავიდნენ“

## ლადო სადღობელაშვილი: „ვურჩევდი „ოცნებას“, საკუთარი ნებით ჩანიშნონ ვადამდელი... გასაქცევად ექნებათ მალე საქმე, ქვეყანაში ფეხს ველარ შემოადგამენ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ლადო სადღობელაშვილი პასუხობს.

***– ლადო, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? რაც დრო გადის, სულ უფრო ხშირად გვესმის, რომ ეს ნაცქოცური ჰიბრიდული მთავრობა არა და არ დასრულდა და ეს ყველაფერი ერთი თამაშია. რა ხდება, რა თამაშს თამაშობენ და როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?***

– ნამდვილად სანტა ბარბარას არის უკვე დამსგავსებული ეს ყველაფერი. მდარე სერიალი, ულევი სერიებით, რომელიც ამ დრამატურგიასა და საპნის ოპერას გადმოგვცემს. ეს ყველაფერი ქვეყანას რომ ამუხრუჭებს და გასაქანს არ აძლევს, ცხადია. ორივე ძალა ერთ ურიკას არის ჩაბმული და მშვენივრად გრძნობენ თავს. ერთი ხელისუფლებაშია და მეორე მთავარი ოპოზიციური ძალაა. წარმოგიდგენიათ, სადამდე მივიდა „ქართული ოცნება“?! თავის დროზე თვითონ მოვიდა ციხეებში წამების საფუძველზე. რეალურად ეს იყო მათი მოსვლის საფუძველი და დღეს თურმე ქვეყანაში მთავარი წამებული გვყოლია ის პრეზიდენტი, რომელიც ერთ დროს თვითონ აწამებდა ხალხს ციხეებში. ერთი ამბავია ატეხილი, თურმე სააკაშვილს ეს ხელისუფლება აწამებს და არ აძლევს მკურნალობის საშუალებას. ბოლო პერიოდში უკვე იმდენი ადამიანი გადავიდა ნაციონალების მხარეს, რომ გასაოცარია.

***– იყო ხალხმრავალი გამოსვლები, თუმცა ეს მუხტი მალე განეიტრალდა. რა მოხდა, არასწორი მოთხოვნები იყო?***

– ეს მუხტი სწორად იყო გამოყენებული. მე თავიდანვე ვთქვი, რომ დიღმელაშვილი, მაქარაშვილი და სხვა ენჯეოშნიკებიც, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ყველა მათგანი ბიძინასთანაა შეკრული. ეტყობა, დიდი ფული მისცეს. თავის დროზე „გრეჩიხამ“ დაშალა აქციები. ბევრჯერ ვყოფილვარ ასეთი აქციების მონაწილე, რომლებიც მერე მოულოდნელად დაშლილა, ზოგს საქეიფოდ უშვებდნენ მერე და ზოგს – სად. სრულიად გაუგებარი მიზეზის გამო ამხელა მუხტი მოკლეს. ახლა, იცით, რამხელა ამბავი უნდა ყოფილიყო რუსთაველზე მინიმუმ კარვების სახით? თუმცა, როგორც ჩანს, ფინანსურ ინტერესებთან გვაქვს საქმე. ზაფხულია, რუსთაველზე გდებას, ეტყობა, კარგი დასვენება არჩიეს სადღაც მალიბუში ან ნიცაში. დარწმუნებული ვარ, სწორედ ასე დამთავრდა ეს ამბავი.

***– ისეთი მოთხოვნები დააყენეს, თავიდანვე ცხადი იყო, არცერთი მათგანი არ შესრულდებოდაო. რატომ შევიდნენ წაგებულ თამაშში?***

– სწორედ რომ თამაში იყო. არ გახსოვთ 2009 წელს სალომე ზურაბიშვილის აქცია, რომელიც ასე დასრულდა? „დიალოგი, დიალოგიო“ – აი, ზუსტად ეგ სცენარი დაიდგა, ოღონდ ახლა სხვა მსახიობები იყვნენ. აბა დიალოგი, აბა ტექნიკური მთავრობა... კარგით რა, სირცხვილია. ეს კინო ნანახი გვაქვს. ამის ბოლო, ზუსტად ვიცი, რა იქნება.

***– რა იქნება?***

– დაახლოებით ორ სცენარს ვხედავ, დაახლოებით ერთი იქნება ისეთი, როგორიც მოხდა ვარდების რევოლუციის წინ, „ოცნებიდან“ სხვადასხვა დროს გასულები შეიკრიბებიან, ვიღაც ფულს გადაუგდებს და ეტყვის, აბა ისევ ერთად დადექითო. ეს მონებიც მაშინვე დადგებიან. ამათთვის ხომ ფულია უპირველესი.

***– „ოცნებიდან“ დღესაც აქტიურად მოდიან და ესეც იგივე თამაშია?***

– კი, იგივე სცენარია. როგორც მოქალაქეთა კავშირის ბაზაზე გაკეთდა ახალი პარტია და შეუერთდნენ ჟვანია და ბურჯანაძე, რაღაც მსგავსი იქნება ახლაც. დასავლეთი უკვე ღიად ეწინააღმდეგება ამ ხელისუფლების არსებობას. თუ ეს სცენარი არ გამოვა, მაშინ, როგორც მიშას დროს, ერთ მშვენიერ დღეს გავრცელდა კადრები, რომ თურმე ციხეში აუპატიურებენ ხალხს. აი, რაღაც მსგავსი სცენარი გათამაშდება. ამ ხელისუფლებას დიდი დრო ნამდვილად არ დარჩენია. რაღაც ახალი სცენარის პირველი ნიშნები არის უკვე. ციხიდან ბევრი მირეკავს და მეუბნებიან, რომ ძალიან მძიმე მდგომარეობაა, იქაური ექიმები პატიმრებს საერთოდ არ აქცევენ ყურადღებას. თუ მართლა მომაკვდავი არ ხარ, ზედ არ გიყურებენო. რაღაც ცუდი მწიფდება და გარედანაც გააქტიურდნენ ძალები.

***– დასავლეთი და იქიდან გაკეთებული განცხადებები ახსენეთ. დეოლიგარქიზაცია, დეპოლარიზაცია – ამას ითხოვს ევროკავშირი. დეკემბრის ბოლომდე გვაქვს ვადა. რას ელით? აღარ ერიდებიან ივანიშვილის ოლიგარქად მოხსენიებას და მოითხოვენ მის ხელისუფლებიდან ჩამოშორებას.***

– მე არ ვიცი, ქოცები ამ ყველაფერს როგორ უყურებენ და რა იმედები აქვთ, მაგრამ მე პირდაპირ ასე აღვიქვი ეს ყველაფერი, რომ დასავლეთმა ჩვენს ხელისუფლებას მისცა 6-თვიანი ვადა იმისთვის, რომ მშვიდად წავიდნენ. მოდით, ვთქვათ სიმართლე: იმისთვის არ გვიბრძოლია, იმისთვის არ მოგვიყვანია „ოცნება“ ხელისუფლებაში, რომ ასეთ დიქტატორულ და ავტოკრატიულ რეჟიმს დამსგავსებოდნენ. მე ადრე თქვენთან ინტერვიუში ვსაუბრობდი ერდოღანიზაციაზე და ზუსტად ეს გზა აქვთ არჩეული. რა ევროპა, ამათთვის დასავლური და ევროპული ღირებულებები აღარ არსებობს. დღევანდელი ხელისუფლების ყველაზე მაგარი პარტნიორი არის ერდოღანი, რომელსაც ვერ უბედავენ უთხრან, რომ დიქტატორია, თორემ მთელი მსოფლიო ამ აზრზეა ჩამოყალიბებული.



„ციხიდან ბევრი მირეკავს და მეუბნებიან, რომ ძალიან მძიმე მდგომარეობაა, იქაური ექიმები პატიმრებს საერთოდ არ აქცევენ ყურადღებას“

***– ბიძინა ივანიშვილი ნებით არ წავა?***

– ეს ადამიანი თავისი ნებით წამსვლელი არ არის. სააკაშვილი რომ სააკაშვილია, ყველამ ვიცით, რაც იყო, მაგრამ უთხრეს, წადიო და წავიდა.

***– ვერც სანქციები შეაშინებს ივანიშვილს?***

– ერთადერთი, ეს თუ შეაშინებს ზუსტად. ამ შემთხვევასაც „ქართული ოცნება“ ძალიან ცუდად იყენებს. ჩვენ ვისმენთ იმ განცხადებებს, რომლებიც ამ გუნდიდან მოდის – თუ ივანიშვილი დასანქცირდა, მაშინ ქველმოქმედება დასანქცირდება საქართველოშიო. იმდენად უტიფრები არიან, არ გაგვიკვირდეს, რომ ერთ დღესაც გამოვიდნენ და გვითხრან, აღარ გვინდა ევროპისკენ სწრაფვაო.

***– როდესაც აცხადებთ, რომ „ქართულ ოცნებას“ 6 თვე მისცეს წასასვლელად, ეს რას ნიშნავს, ვადამდელი არჩევნები იქნება?***

– ვურჩევდი „ოცნებას“, საკუთარი ნებით ჩანიშნონ ვადამდელი. ეს მათთვის ყველაზე კარგი გამოსავალი იქნება. ასე დიდხანს ველარ გაგრძელდება. ყველა სფეროს მოედო ეს კლანური მმართველობა. თუ ამ პარტიასთან დაახლოებული პირი არ ხარ, ისე ღირსეულ სამსახურს ვერსად ვერ დაიწყებ.

***– ეს არც დაუმალავს ღარიბაშვილს, კადრების შერჩევისას დიდი მნიშვნელობა აქვს ნაცნობობას, თუ არ ენდობი, აბა რანაირადო. თავადვე აღიარა, რომ გაქანებული ნეპოტიზმია?***

– კი ბატონო, ასეა. მეც მაგაზე ვსაუბრობ. ყველა რგოლში, ყველა ინსტიტუციაში სერიოზული პრობლემაა. თუნდაც წულუკიანის სამინისტროს შეხედეთ. ერთი ხელოვანი არ დაიყენა გვერდით. ყველანი ძალოვანი უწყების წარმომადგენლები და იუსტიციიდან წამოსული კადრები არიან. არ მინდა ვისურვო, რომ ამ ხელისუფლებამ ცუდად დაასრულოს, მაგრამ სხვა გზას არ ტოვებენ. გასაქცევად ექნებათ საქმე, ისე, რომ 15-20 წელი ამ ქვეყანაში ფეხს ველარ შემოადგამენ. შეიძლება, ისე წაუვიდეთ საქმე, რომ მალე ქუჩაშიც კი ველარ გამოვიდნენ. ჩვენს ზურგზე გამოიარა ამ ყველაფერმა, ჩვენ ვიბრძოლეთ რეჟიმის წინააღმდეგ, შემდეგ არსაიდან მოსული ტიპები მოასხდნენ ქვეყანას და, რასაც უნდათ, იმას აკეთებენ. ნახეთ, რა ხდება, უამრავმა ადამიანმა დატოვა ქვეყანა ბოლო რამდენიმე თვეში! 100 ათასს აჭარბებს ეს რიცხვი და ძირითადად სულ ახალგაზრდა თაობა გადის. რატომ გარბიან? იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში მომავალს ვერ ხედავენ.

***– ასეთი გადინება, ახლა რომ არის, არასდროს არ ყოფილა.***

– სამწუხაროდ, ასეა. დაიცალა ქვეყანა. უპერსპექტივობაა ამ ქვეყანაში. თუ არა ხარ ვიღაცის ვაზელინად ქცეული ან ვიღაცის ახლო ნათესავი, გასაქანი არ გაქვს. ამ უპერსპექტივობას რომ ხედავს ხალხი, გადის ქვეყნიდან, აბა რა ქნას.

# მაიკლ გალერი: „საქართველოს ხელისუფლება პასუხისმგებელია მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე“

– დემონსტრაციებიდან ვიცით, თუ საით ისწრაფვის ქართველი ხალხი და ასევე ვიცით, ვინ არის პასუხისმგებელი იმაზე, რომ საქართველომ ვერ მიიღო იგივე სტატუსი ამ დროისათვის, რაც უკრაინა და მოლდოვამ, – ამის შესახებ ევროპარლამენტარმა მაიკლ გალერმა განაცხადა.



მისი თქმით, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის „სარკასტული საუბარი, რომ თუ დეკემბრამდე საქართველო რუსეთთან ომში ჩაერთვება, მაშინ ქვეყანა მიიღებს სტატუსს, პროცესისთვის სასარგებლო არ არის, არამედ აჩენს კითხვებს, ხომ არ არიან ისინი სრულიად განსხვავებულ გზაზე“.

ევროპარლამენტარმა ხაზი გაუსვა, რომ საქართველომ ყურადღება უნდა გაამახვილოს ევროპული კომისიის დასკვნაში წარდგენილი 12 პუნქტის შესრულებაზე.

– ისინი უნდა კონცენტრირდნენ იმ 12 პუნქტის შესრულებაზე, რომლებიც ევროკომისიამ წარადგინა და შემდეგ კი კანდიდატის სტატუსი მიიღონ.

ასევე სერიოზული შეშფოთება გამოვხატე საქართველოში მედიის თავისუფლებისა და ჟურნალისტების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით 2022 წლის 9 ივნისის რეზოლუციაში. არასდროს არის ძალიან გვიანი წარსულის შეცდომების გამოსწორება პოლიტიზებულ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით. ეს განსაკუთრებით ეხება ნიკა გვარამიას, ტელეკომპანია „მთავარი არხის“ დირექტორის საქმეს, რომელიც ეფუძნება საეჭვო ბრალდებებს. საქმე ფართოდ აღიქმება, როგორც მთავრობის მიმართ კრიტიკული მედიის გაჩუმების მცდელობა, – აღნიშნა ევროპარლამენტარმა.

მან საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ის ახლავე უნდა გათავისუფლდეს.

– საქართველოს ხელისუფლება პასუხისმგებელია მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და ის ახლავე უნდა გათავისუფლდეს, რომ არ დაიღუპოს ციხეში, – აღნიშნა ევროპარლამენტარმა.

# მარკეტა გრეგოროვა: „მსურს, მივმართო საქართველოს ხელისუფლებას: იმუშავეთ ყველასთან პარლამენტში, მათ შორის ოპოზიციასთან“

– მსურს მივმართო საქართველოს ხელისუფლებას: გთხოვთ, მიაღწიოთ პროგრესს ევროპული კომისიის დასკვნაში ნახსენები რეფორმების განხორციელებაში. იმუშავეთ ყველასთან პარლამენტში, მათ შორის ოპოზიციასთან, – ამის შესახებ ევროპარლამენტარმა მარკეტა გრეგოროვამ ევროპარლამენტში განაცხადა, სადაც საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შესრულებაზე მომზადებული ყოველწლიური ანგარიშის პროექტი წარადგინეს.



მისი თქმით, 2022 წლის ბოლომდე, შემდგომ შეფასებამდე საქართველომ უნდა გადადგას აუცილებელი ნაბიჯები და განახორციელოს რეფორმები.

– პირველ რიგში საჭიროა ქვეყნის საარჩევნო რეფორმის დასრულება და საარჩევნო კამპანიის დროს დაფიქსირებული ხარვეზების მოგვარება ეუთო/ოდირის რეკომენდაციების შესაბამისად, ჭეშმარიტი და სრულყოფილი საარჩევნო რეფორმის განხორციელება და მოსამართლეების წარდგენისა და დანიშვნის პროცესში ხარვეზების მოგვარება, რომელიც გამოვლენილია ვენეციის კომისიის მიერ. ასევე თავისუფალი ანტიკორუფციული სამსახურების ჩამოყალიბება საქმეების ეფექტურად გამოძიების მიზნით და საჯარო სამსახურებში კეთილსინდისიერების პრინციპებისა და ინტერესთა კონფლიქტის საკანონმდებლო ნორმების აღსრულება აუცილებელი ნაწილია კორუფციისა და დეოლიგარქიზაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, – აღნიშნა ევროპარლამენტარმა.

მან საქართველოს ხელისუფლებას მიმართა, მიაღწიონ პროგრესს ევროპული კომისიის დასკვნაში ნახსენები რეფორმების განხორციელებაში.

– წლებია ჩვენ ვსაუბრობთ, რომ საქართველოში დემოკრატიისა და კანონის უზენაესობასთან დაკავშირებული სიტუაცია უარესდება. ამასთან საქართველოს მოსახლეობა გამოხატავს სურვილს, ევროპული მისწრაფების მიმართ. ეს მოიცავს დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ფუნდამენტური თავისუფლებების უმაღლესი სტანდარტების დაცვას. მსურს მივმართო საქართველოს ხელისუფლებას, გთხოვთ, მიაღწიოთ პროგრესს ევროპული კომისიის დასკვნაში ნახსენები რეფორმების განხორციელებაში. იმუშავეთ ყველასთან პარლამენტში, მათ შორის ოპოზიციასთან. საუბარი არ არის პარტიებზე, ცალკეულ პირებზე, საუბარია თქვენი ქვეყნისთვის ნამდვილად ისტორიულ მომენტზე და ამ მომენტში არავინ, თქვენ გარდა, არ გიშლით ხელს კანდიდატის სტატუსის მიღებაში, – აღნიშნა ევროპარლამენტარმა.



# „ალტ-ინფოს“ ლიდერები მოსკოვში ჩავიდნენ

პრორუსული დაჯგუფების წევრები რუსეთში ჩავიდნენ. „კონსერვატიული პარტიის“ ლიდერები კრემლს საქართველოსთან უვიზო მიმოსვლასა და პირდაპირი ფრენების აღდგენას სთხოვენ.

პუტინისტური დაჯგუფების წევრები ამბობენ, რომ რუს პოლიტიკოსებს „ოცნების“ პოლიტიკა მოსწონთ და ისინი ურთიერთობის აღდგენის რესურსს ხედავენ.

ოკუპანტ ქვეყანაში იმყოფებიან პარტიის თავმჯდომარე გიორგი ქარდავა და გენერალური მდივანი შოთა მარტინენკო.

პარტიის ლიდერები შეხვდებიან სხვადასხვა პოლიტიკოსებს. ძირითადი საკითხები არის უვიზო მიმოსვლის აღდგენა რაც შეიძლება მალე და პირდაპირი ფრენების აღდგენა რუსეთ-საქართველოს შორის.

– ვისაც შევხვედრივართ, დუმის დეპუტატების აბსოლუტური უმრავლესობა შეწუხებული და მოტივირებულია, რომ რაც შეიძლება მალე უვიზო მიმოსვლაც იყოს და ფრენებიც. ალტ-ინფომ დიდი ხნის წინ თავად იკისრა, რომ ერთ-ერთი გადამწყვეტი რგოლია რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების დასტაბილურებისა.

გაცილებით უფრო სიმპათიებს იწვევს მათში ეს ხელისუფლება, ვიდრე წინამორბედები. სანქციებს არ შეუერთდნენ და ცდილობენ, რომ ევროპელებისგან მოხვეული უაზრო რიტორიკა თავს არ მოიხვიონ, – უთხრა „ტვ პირველს“ კოკა მორგოშიამ.

# პოლონეთის ექსპრეზიდენტი ალექსანდრე კვასნევსკი: „კრემლში გადატრიალების მოწყობა გენერლებსა და ოლიგარქებს შეუძლიათ“

მარიამ მჭედლიშვილი

**ანტიდასავლურ რიტორიკაში ჩაფლული საქართველოს მმართველი პარტია, ასევე საკუთარი ანგარიშებით გართული ოპოზიციის უმრავლესობა დროის დიდ ნაწილს კინკლაობას უთმობს. საქართველოს პოლიტიკური სპექტრი თვალსა და ყურს არიდებს საშინაო პრობლემებსაც და საქართველოს გარშემო განვითარებულ პროცესებსაც. უკრაინის ომსა და რუსეთში შექმნილ მდგომარეობაზე უკრაინულ მედიას ესაუბრა პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტი ალექსანდრე კვასნევსკი.**



## „ეს ომი რუსების სცენარის მიხედვით არ მიმდინარეობს“

***– გახსოვთ თქვენი 24 თებერვალი? ელოდით, რომ რუსეთი თავს დაესხმებოდა უკრაინას სამი მხრიდან?***

– პუტინი ჯერ კიდევ 2002 წელს, კრემლში ჩვენ შორის გამართული ხანგრძლივი საუბრისას ამბობდა, რომ მისი სტრატეგიული მიზანია დიადი რუსეთის აღდგენა. პუტინის გაგებით, დიადი რუსეთი შეუძლებელია უკრაინის გარეშე. ამით ვხსნიდი რუსეთის მხრიდან პოლიტიკურ და ეკონომიკურ ზეწოლას.

ვაღიარებ: მეგონა, რომ პუტინი პრაგმატიკოსია და უკრაინას თავს არ დაესხმებოდა. ეს სიგიჟედ აღიქმებოდა. ის ამაზე მაინც წავიდა. პუტინმა ისტორიული შეცდომა დაუშვა, რომლის ფასი რუსეთისათვის უზარმაზარი იქნება.

24 თებერვალს ისრაელში ვიმყოფებოდი. უკან დასაბრუნებელი თვითმფრინავი ადრიანად უნდა გამოფრენილიყო. სასტუმროში ტელევიზორი ჩავრთე, სადაც სი ენ ენ-მა გადმოსცა, რომ ომი დაიწყო. იმ დროისათვის უკვე დავიჯერე, რომ პუტინი ომს გააჩაღებდა. მანამდე მან აღიარა ე.წ. ლუგანსკისა და დონეცკის რესპუბლიკები.

***– ომი მეხუთე თვეა გრძელდება. მის ხანგრძლივობაზე როგორი პროგნოზი გაქვთ?***

– დარწმუნებული ვარ, რომ ომი დიდხანს გაგრძელდება. პუტინს არ უნდა ომის წაგება. ის სხვადასხვა ინტენსივობით გააგრძელებს ამ აგრესიას. უკანასკნელ ხანს ვნახეთ ბევრი სარაკეტო დარტყმა დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების ფარგლებს გარეთ, კიევში, ოდესაში, კრემენჩუგსა და სხვა ქალაქებში. ეს არის ფსიქოლოგიური ომი ნაწილი, ხალხის დაშინება.

უკრაინაც არ აპირებს დანებებას. უკრაინა დარწმუნებულია თავის სიმართლეში. ის იბრძვის საკუთარი მიწისთვის, თავისი ადამიანების უფლებებისა და უსაფრთხოებისათვის. თუ დასავლეთი უკრაინას დაეხმარება (დასავლეთმა ეს ვალდებულება აიღო), განსაკუთრებით, სამხედრო თვალსაზრისით, მან უკრაინას უნდა მისცეს იმდენი იარაღი, რაც საჭიროა და

## „პუტინმა ისტორიული შეცდომა დაუშვა“

დამატებითაც, ასე ვთქვათ, კიდევ ერთი დღის სამყოფი. ეს ნიშნავს, რომ ომი შეიძლება ხანგრძლივი გამოდგეს.

ახლა ძნელად წარმომიდგენია რაიმე გარდატეხა. არა მგონია, რომ ამ მომენტში მხარეებმა გამოაცხადონ, დროა, მოლაპარაკებათა მაგიდას მივუსხდეთ, დათმობებისთვის მზად ვართო. არ მჯერა, რომ პუტინი მზადაა დათმოს და დაუბრუნდეს 24 თებერვლამდე არსებულ სიტუაციას. ამჟამად პრობლემის მშვიდობიანად მოგვარება აბსოლუტურად შეუძლებელია.

შესაძლებელია კონფლიქტის გაყინვა. ეს კარგი არ არის. თუ ორივე მხარე, განსაკუთრებით, რუსეთის, აღიარებს, რომ ძალები და საშუალებები ამოწურულია, შეიძლება გაჩნდეს ზავის ინიციატივა.

***– როგორც აღნიშნეთ, რუსეთის არმია ღიად ბომბავს უკრაინის ქალაქებს – ოდესას, კრემენჩუგს, ხარკოვს, ნიკოლაევს, კიევს. ყოველდღე უამრავი დაღუპულია. ამასთან, რუსეთის სამხედროები ცინიკურად აცხადებენ, რომ მათი სამიზნეა სამხედრო დანიშნულების ინფრასტრუქტურა და არ ესვრიან სამოქალაქო ობიექტებს. სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ტერორის აქტები ფრონტზე წარუმატებლობით გამოწვეული უძლურების გამოხატულებაა თუ უკრაინელების მიმართ სიძულვილის დემონსტრირება?***

– ერთი მეორეს არ გამორიცხავს. ეს არის ფსიქოლოგიური ომის ელემენტი. ადამიანებს შიში უჩნდებათ. მეორე მხრივ, ეს უძლურების გამოხატულებაცაა. ეს ომი არ მიმდინარეობს რუსების სცენარით, ასეთი დაბომბვები კი წარმოადგენს ამბიციების დაკმაყოფილებას, იმის მტკიცებას, რომ რაღაც მიღწევები აქვთ.

***– რუსეთის დანაკარგმა ამ ომში გადააჭარბა ავღანეთის 10-წლიანი ომის დანაკარგს. შესაძლებელია, რომ ამან გამოიწვიოს მასობრივი პროტესტი ან გადატრიალება რუსეთში?***

– თუ ომი დიდხანს გაგრძელდება და მსხვერპლის რიცხვი გაიზრდება, საზოგადოებრივი წინააღმდეგობა იქნება. მასობრივ დემონსტრაციებს ჯერ არ ველი. ადამიანებს ტვინს ურეცხავენ პუტინის პროპაგანდით. პუტინი ცდილობს, არ დაუშვას შეცდომა. ის არ აცხადებს საყოველთაო მობილიზაციას. ამჟამად ომში მიჰყავთ ახალგაზრდები ციმბირიდან, ბურიატიიდან. საყოველთაო მობილიზაციის შემთხვევაში შეკრებდნენ მოსკოველებსა და პეტერბურგელებს, რომლებმაც კარგად იციან, რა ხდება სინამდვილეში. საყოველთაო მობილიზაციისას პუტინი მიიღებდა დემონსტრაციებს ლოზუნგით „კმარა ომი“.

საზოგადოებრივი პროტესტის კიდევ ერთი ელემენტია სანქციები. უეჭველია, რომ რუსეთის მოსახლეობის ცხოვრების დონე დაბლა იწევს. მეორე მხრივ, ვიცნობთ ამ ადამიანებს – თუ სამშობლოს სჭირდება, შეუძლიათ, მსხვერპლი გაიღონ. უახლოეს ხანში მასობრივ დემონსტრაციებს არ ველი.

გადატრიალება რუსეთში შეუძლია ორ ჯგუფს. პირველია გენერალიტეტი. უკმაყოფილო პუტინმა გენერლების ნაწილი თადარიგში გაუშვა, ნაწილი – შინაპატიმრობაში. გარკვეულ მომენტში მათ შეიძლება გადაწყვიტონ, რომ ციხეში წასვლას ომის დამთავრება სჯობია. ომის დამთავრება კი შეუძლებელია პირველი პირის შეცვლის გარეშე.

მეორე ჯგუფია ოლიგარქები, რომლებსაც შეუძლიათ გადატრიალების ორგანიზება. რუსმა ოლიგარქებმა კოლოსალური ზარალი განიცადეს.

# ნუგზარ წიკლაური: „ანტიევროპული ხელისუფლება ევროკავშირის მოთხოვნების შესრულებას არ აპირებს“

– ანტიევროპული ხელისუფლება არ აპირებს ევროკავშირის მოთხოვნების შესრულებას და ანადგურებს საქართველოს ეროვნულ პერსპექტივას, მიუხედავად იმისა, რომ ევროპული ოჯახის კარი არასდროს არ ყოფილა ასე ახლოს ჩვენი ქვეყნისათვის.

ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის წევრმა ნუგზარ წიკლაურმა პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.





როგორც წიკლაურმა აღნიშნა, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მხრიდან ბოლო დღეებში ანტიდასავლურ, ორგანიზებულ კამპანიას ვხედავთ, რომლის ერთადერთი მიზანია ივანიშვილის დაცვა ევროპისგან, მთლიანად თავისუფალი სამყაროსა და პოლიტიკური ოპოზიციისაგან.

– მოგეხსენებათ, „ქართული ოცნება“ სანქციების შიშით წერამ აიტანა. ბოლო დღეებში ვხედავთ ანტიდასავლური პოლიტიკური ეპისტოლეების ამოფრქვევას, რომელთა მოტივია პატრონყმური ერთგულების დემონსტრირება ივანიშვილის მიმართ. ამ კამპანიაში ჩართულია ყველა: დეპუტატები, საკრებულოს წევრები, მინისტრები და თვით პრემიერ-მინისტრი. ორგანიზებული კამპანიის ერთადერთი მიზანია ივანიშვილის დაცვა ევროპისგან, აშშ-სგან, მთლიანად თავისუფალი სამყაროსა და პოლიტიკური ოპოზიციისაგან. ცდილობენ დაამტკიცონ, რომ „გაზპრომის“ მეწილე ევტუშენკოვის მეგობარი ივანიშვილი სინამდვილეში არ არის ოლიგარქი და ყველაფერი მითიური მტრების გამოგონილია. წერილის ავტორების საზრუნავი მხოლოდ ბიძინას ფულია, რისთვისაც მზად არიან, საქართველოს ეროვნული ინტერესები გადააყოლონ.

„ოცნება“ არ თაკილობს ყველაზე უფრო ამორალურ და ანტიეროვნულ ნაბიჯებს, როდესაც ომის დაწყებას ბრალად სდებენ როგორც აშშ-ს, ასევე მთელ ევროკავშირსა და ევროპელ დეპუტატებს. თუ ვინმეს დამატებითი არგუმენტი სჭირდებოდა ივანიშვილის არაფორმალური მართვისა და ოლიგარქობის დასამტკიცებლად, ეს არგუმენტი ჩვენ წინაშეა სწორედ ამ კამპანიის სახით, რომელსაც „ქართული ოცნება“ აწარმოებს და სრულ მორჩილებას უცხადებს ოლიგარქს.

ანტიევროპული ხელისუფლება არ აპირებს ევროკავშირის მოთხოვნების შესრულებას და ანადგურებს საქართველოს ეროვნულ პერსპექტივას, მიუხედავად იმისა, რომ ევროპული ოჯახის კარი არასდროს არ ყოფილა ასე ახლოს ჩვენი ქვეყნისათვის. ერთადერთი ადამიანი გვაშორებს ჩვენს მიზანს, ერთადერთი კაცი უხურავს ქართველებს ევროპის კარს, ეს არის რუსი ოლიგარქი ივანიშვილი, მხოლოდ ის დგას საქართველოსა და ევროპას შორის, – აღნიშნა ნუგზარ წიკლაურმა.

# ლევან ვარშალომიძეს, სავარაუდოდ, სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყდება

ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“, სავარაუდოდ, კიდევ ერთ საპარლამენტო მანდატს კარგავს. პარლამენტის დღის წესრიგში დეპუტატ ლევან ვარშალომიძისთვის სადეპუტატო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი დგას, რასაც, თავის მხრივ, ვარშალომიძის მიერ სხდომების არასაპატიო მიზეზით გაცდენების რაოდენობა იწვევს.



საკითხს 14 ივლისის სხდომაზე საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი განიხილავს და დასკვნას საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად უახლოეს პლენარულ სხდომაზე წარადგენს.

აღსანიშნავია, რომ ვარშალომიძისთვის მანდატის შეწყვეტის შემთხვევაში, პარლამენტში მისი ადგილმონაცვლე ვერ შევა, რადგან საპარლამენტო ოპოზიციის, მათ შორის პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო სიები გაუქმებულია. ოპოზიცია კი ჯამში პარლამენტში 6 მანდატს კარგავს.

ცნობისთვის, პარლამენტში ადგილმონაცვლეები არ ჰყავთ ნიკა მელიას, ზაალ უდუმაშვილს, მამუკა ხაზარაძეს, ბადრი ჯაფარიძესა და ელენე ხოშტარიას. შესაბამისად, მათი მანდატები გაუქმდა. ანალოგიურად მოხდება ვარშალომიძის შემთხვევაშიც.

# ალუდა ღუდუშაური: „რიგგარეშე სხდომა საცირკო წარმოდგენა იქნება“



– რიგგარეშე სხდომაზე არავითარი სამუშაო პროცესი არ იქნება წარმართული. ეს იქნება საცირკო წარმოდგენა – ჩვენ მოსახლეობისთვის ცირკის უფასო ბილეთების დარიგებას არ ვაპირებთ.

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ალუდა ღუდუშაურმა ჟურნალისტებთან განაცხადა.

მისი თქმით, რიგგარეშე სხდომის მოწვევის აუცილებლობა არ არსებობს და ოპოზიცია „ქართული ოცნების“ მიერ ინიცირებულ პროცესში უნდა ჩაერთოს, რომელიც ევროკავშირის პირობების დასაკმაყოფილებლად წამოიწყეს.

– ჩვენ ვაპირებთ, სამუშაო წარვმართოთ იმგვარად, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობამ საკუთარ თავზე იგრძნოს ინკლუზიურად განვითარება. რა უნდა იყოს რიგგარეშე სხდომაზე, როცა დღეს მთავარი სასიცოცხლო ამოცანა გვაქვს რეკომენდაციების შესრულება, ამ პროცესში ჩართულობა და როცა ამ პროცესს უცხადებ უნდობლობას, ბოიკოტს და ამბობ, რომ მასში არ ჩაერთვები, რა უნდა გააკეთონ ამათ გარდა იმისა, რომ უფასო საცირკო წარმოდგენა შესთავაზონ მოსახლეობას, ჩემთვის წარმოუდგენელია, – განაცხადა ღუდუშაურმა.

ცნობისათვის, საქართველოს სასამართლოებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების პროაქტიულად გათვალისწინების საკითხთან დაკავშირებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი პარლამენტში შეხვედრას მართავს. სამუშაო ჯგუფი „ქართული ოცნების“ მიერ ევროკავშირის რეკომენდაციების შესასრულებლად ინიცირებული პროცესის ფარგლებში ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ შეიქმნა. ოპოზიციის ნაწილი პროცესში არ მონაწილეობს და რიგგარეშე სხდომის გამართვას ითხოვს, სადაც ის საკითხები უნდა გავიდეს, რომელიც მათი მოსაზრებით ევროკავშირის მოთხოვნების სწრაფად შესრულებას უზრუნველყოფს.

# პაატა მანჯგალაძე: „სააკაშვილს მკურნალობა ნამდვილად ესაჭიროება“





– ჩემი ადამიანური ვალდებულება იყო, საკუთარი თვალით მენახა ყველაფერი. მინდა, მოქალაქეებს ვუთხრა, რომ სააკაშვილს ნამდვილად ესაჭიროება მკურნალობა იმიტომ, რომ არის სუსტად და ვერ გადაადგილდება დამოუკიდებლად, – ამის შესახებ „სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრმა, დეპუტატმა პაატა მანჯგალაძემ „ვივამედის“ კლინიკაში საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მონახულების შემდეგ განაცხადა.

პაატა მანჯგალაძის ინფორმაციით, ის იზიარებს ექიმებისა და ოჯახის წევრების განცხადებას იმის თაობაზე, რომ სათანადო სამედიცინო დახმარების მიწოდებისთვის სააკაშვილის საზღვარგარეთ გადაყვანაა საჭირო.

– მიხეილ სააკაშვილი ვიზუალურად არის ძალიან სუსტად, რაც არ ეტყობა მის შინაგან განწყობას. ყოფილი პრეზიდენტის სიცოცხლე არ უნდა დავაყენოთ კითხვის ნიშნის ქვეშ, ეს იქნება უპატიებელი შეცდომა. ჩემი ადამიანური ვალდებულება იყო, საკუთარი თვალით მენახა ყველაფერი. მინდა, მოქალაქეებს ვუთხრა, რომ სააკაშვილს ნამდვილად ესაჭიროება მკურნალობა იმიტომ, რომ არის სუსტად და ვერ გადაადგილდება დამოუკიდებლად, – აღნიშნა პაატა მანჯგალაძემ.

# „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი 7 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად მოქალაქეთა შორის არსებული ფინანსური დავის „ქურდული წესით“ გარჩევის ფაქტი გამოავლინეს. აჭარაში, თბილისსა და რუსთავში „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი 7 პირი დააკავეს, ხოლო საზღვარგარეთ მყოფ 2 პირს ბრალი დაუსწრებლად წარედგინა. ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, სამართალდამცველებმა 1965 წელს დაბადებული შ.მ. (მეტსახელად „ჩატო“) და 1972 წელს დაბადებული მ.ფ. – „ქურდული სამყაროს“ წევრობისთვის, ხოლო 1979 წელს დაბადებული გ.ნ., 1979 წელს დაბადებული ვ.ა. და 1968 წელს დაბადებული გ.ც. „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერისთვის დააკავეს.

1960 წელს დაბადებული ა.ჯ. (მეტსახელად „კიკა“) და 1969 წელს დაბადებული რ.გ. კი „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვის ბრალდებით არიან დაკავებული. რაც შეეხება 1977 წელს დაბადებულ თ.ფ.-სა და 1975 წელს დაბადებულ გ.თ.-ს, მათ „ქურდული სამყაროს“ წევრობისთვის ბრალი დაუსწრებლად წარედგინათ.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა გ.ნ.-მ და ვ.ა.-მ, ა.ჯ.-ის და რ.გ.-ს მეშვეობით თურქეთის რესპუბლიკაში მოიძიეს კლიენტი მ.ქ., რომელმაც ლ.ა.-ს დავალებით მათგან შეიძინა დიდი რაოდენობით ოქროს ნივთები. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ მონეტები ყალბი იყო. ლ.ა.-მ კი ყალბ ოქროში გადახდილი ფულის უკან ამოღების მიზნით, დასახმარებლად მიმართა „კანონიერ ქურდ“ მინდია ლავას ოღლის.

„მხარეებს შორის არსებული ფინანსური დავის „ქურდული სამყაროს“ წესების მიხედვით გადაწყვეტის მიზნით, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე რამდენჯერმე მოეწყო ე.წ. ქურდული გარჩევები, რომლებშიც, მოდავე მხარეებთან, კრიმინალურ ავტორიტეტებსა და „ქურდული სამყაროს“ წევრებთან ერთად, პირადად და დისტანციურად მონაწილეობდნენ საზღვარგარეთ მყოფი „კანონიერი ქურდები“: მინდია ლავასოღლი, ჯეირან კინწურაშვილი და ზვიად პაპიაშვილი.



გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ დაკავებული „ქურდული სამყაროს“ წევრები და კრიმინალური ავტორიტეტები, მოქალაქეებს შორის არსებული ფინანსური დავების მოგვარებისა და პირადი სარგებლის მიღების მიზნით, საზღვარგარეთ მყოფ ქართველ „კანონიერ ქურდებს“ უკავშირდებოდნენ და ე.წ. ქურდულ გარჩევებს აწყობდნენ.

პოლიციამ ნივთმტკიცებად ამოიღო ბრალდებულების მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც ისინი ერთმანეთს და საზღვარგარეთ მყოფ „კანონიერ ქურდს“ უკავშირდებოდნენ. საქმეზე გრძელდება შესაბამისი საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებები და შესაძლებელია, ბრალდებულთა წრე გაფართოვდეს.

„ქურდული სამყაროს“ წევრობის, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის და „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პირველი პრიმა მუხლის 1-ელი ნაწილით, 223-ე მე-3 პრიმა მუხლის მე-2 ნაწილითა და 223-ე მე-4 პრიმა მუხლის 1-ელი ნაწილით მიმდინარეობს. დანაშაულები 3-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო „ქურდული მენტალიტეტისა“ და „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ აქტიურ და უკომპრომისო ბრძოლას განაგრძობს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

## მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესი 12 ივლისს გადაიდო

საქართველოს მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესი, რომელიც საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო კვეთას ეხება, გადაიდო.

სასამართლო პროცესზე მოსამართლე ნინო ჩახნაშვილმა პენიტენციარული დაწესებულებიდან და კლინიკა „ვივამედიდან“ გამოგზავნილი წერილები წაიკითხა. კლინიკის მიერ გამოგზავნილი ინფორმაციის თანახმად, მიხეილ სააკაშვილის პროცესზე დასწრება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე მიზანშეწონილი არ არის და რომ ყოფილი პრეზიდენტი ძლიერ სისუსტეს განიცდის. მოსამართლემ სხდომა 20 ივლისის 12:00 საათისთვის გადადო.

შეგახსენებთ, რომ მიხეილ სააკაშვილის მიერ საზღვრის უკანონო კვეთის ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება გასული წლის პირველ ოქტომბერს დაიწყო. აღნიშნული საქმის ფარგლებში ბრალდება კიდევ 4 პირს – ელგუჯა ცომაიას, ზურაბ და შალვა წოწორიებსა და გიორგი ნარიმანიძეს აქვთ წაყენებული, ისინი გირაოს სანაცვლოდ არიან გათავისუფლებული. აღნიშნული პირების საქმე ცალკე წარმოებად მიმდინარეობს, ისინი წარდგენილ ბრალდებას აღიარებენ.

## გორი–ატენის გზა გადაიკეტა

გორი-ატენის დამაკავშირებელი გზის მონაკვეთი პარალიზებულია. გზა ადგილობრივებმა გადაკეტეს, რომლებიც საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას ითხოვენ.

გზის რეაბილიტაცია 1 წელია მიმდინარეობს, თუმცა როგორც ადგილობრივები ამბობენ, პერიოდულად ჩერდება და პროექტის დასრულება ამ დრომდე არ მომხდარა. ისინი ხელისუფლებას უყურადღებობაში ადანაშაულებენ. მიუხედავად იმისა, რომ გზა 1 საათზე მეტია პარალიზებულია, იქ ხელისუფლების წარმომადგენლები არ გამოჩენილან.

– არავინ არაფერს აკეთებს, სამი წელიწადია, ამ უბედურებაში ვართ. ვინ არის, სად არის ხელისუფლება? არ არიან. მგონი, იტალიაშია წასული გამგებელი, – ამბობს ერთ-ერთი ადგილობრივი.

ადგილზე ინციდენტი მოხდა. ერთმანეთს აქციის მონაწილეები და ის მოქალაქეები დაუპირისპირდნენ, რომლებიც გზაზე ავტომობილით გადაადგილებას ვერ ახერხებდნენ. ადგილობრივები ამბობენ, რომ სანამ ხელისუფლების წარმომადგენლები მათთან არ მივლენ, გზის გახსნას არ აპირებენ.

# წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიშის განხილვა გაიმართა

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიშის განხილვა გაიმართა. უწყების ცნობით, იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, თორნიკე ჭეიშვილმა ღონისძიებაზე იმ დადებითი ტენდენციების შესახებ ისაუბრა, რომელიც კომიტეტის მონიტორინგის დოკუმენტში აისახა. ამის შესახებ ინფორმაცია იუსტიციის სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, აღინიშნა, რომ ევროპული კომიტეტის ანგარიშის თანახმად, პენიტენციარული დაწესებულებების თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის დადებითი და მშვიდი ურთიერთობა არსებობს და რომ დელეგაციას არ მიუღია ინფორმაცია ციხის თანამშრომლების მხრიდან პატიმრების არასათანადო მოპყრობის არცერთ ფაქტზე.

თორნიკე ჭეიშვილმა ისაუბრა აგრეთვე კომიტეტის მხრიდან პენიტენციარული სამ-



სახურის ჯანდაცვის სისტემის შეფასების შესახებ და აღნიშნა, რომ კომიტეტი პენიტენციარულ დაწესებულებებში გადამდებ დაავადებათა მკურნალობას სწრაფად და ადვილად ხელმისაწვდომად მიიჩნევს, განსაკუთრებით მაღალ შეფასებას კი კოვიდის მართვის პრაქტიკას აძლევს, რის შედეგადაც, პანდემიის მიუხედავად, შესაძლებელი იყო პატიმრების გარე სამყაროსთან კონტაქტის შენარჩუნება.

რაც შეეხება ანგარიშში დაფიქსირებულ რეკომენდაციებს, მინისტრის მოადგილის განცხადებით, მათი ნაწილი უკვე გათვალისწინებული და ასახულია იუსტიციის სამინისტროს 10-წლიან სტრატეგიაში. კერძოდ, უკვე დამტკიცებულია პენიტენციარულ სისტემაში სპორტის მართვის ახალი სტრატეგია, განახლდა სპორტული მოედნები; ამოქმედდა ციფრული უნივერსიტეტის პროგრამა. არსებული გამოწვევების საკანონმდებლო დონეზე აღმოფხვრისათვის კი უკვე მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ახალ პატიმრობის კოდექსზე, რომელიც საქართველოს პარლამენტს საშემოდგომო სესიაზე წარედგინება:

– შექმნილია შესაბამისი უწყებათშორისი ჯგუფი, ახალი პატიმრობის კოდექსი და აღნიშნული სამუშაო პლატფორმის საქმიანობა იმისკენ იქნება ორიენტირებული, რომ ნებისმიერი საკითხი, რომელიც დღეს პრაქტიკაში შეიძლება მწვავედ იდგეს, პირველ ყოვლისა, საკანონმდებლო დონეზე იქნეს აღმოფხვრილი, – განაცხადა თორნიკე ჭეიშვილმა.

კომიტეტის მიერ საქართველოში განხორციელებული მონიტორინგის ანგარიშის განხილვა საქართველოს სახალხო დამცველის ორგანიზებით გაიმართა და მას სახელმწიფო უწყებების, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

## პატიმრობის ახალ კოდექსზე მუშაობის პროცესი აქტიურ ფაზაში შევიდა

იუსტიციის მინისტრის მოადგილე თორნიკე ჭეიშვილის განცხადებით, პატიმრობის ახალ კოდექსზე აქტიური მუშაობაა დაწყებული.

როგორც ჭეიშვილი აღნიშნავს, პარლამენტს პატიმრობის ახალი კოდექსი საშემოდგომო სესიაზე წარედგინება.

– უკვე დაწყებულია და აქტიურ ფაზაში შევიდა პატიმრობის ახალ კოდექსზე მუშაობის პროცესი, რომელიც საშემოდგომო სესიისთვის საქართველოს პარლამენტს უნდა წარედგინოს. შექმნილია შესაბამისი უწყებათშორისი ჯგუფი, ეს პატიმრობის ახალი კოდექსი და აღნიშნული ფორმატი იმისკენ იქნება ორიენტირებული, რომ ნებისმიერი საკითხი, რომელიც დღეს პრაქტიკაში შეიძლება მწვავედ იდგეს, პირველ ყოვლისა, საკანონმდებლო დონეზე იქნას აღმოფხვრილი, რასაც შემდეგ ეტაპზე მოჰყვება შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების გადასინჯვა, საუბარი მაქვს, ციხეების დებულებებზე და .ა.შ., – განაცხადა ჭეიშვილმა.

## ოზურგეთში გამგებელს კაბინეტიდან ტელევიზორი მოჰპარეს

ოზურგეთის მერის წარმომადგენელს მელექედურის ტერიტორიულ ორგანოში საკუთარი კაბინეტიდან ტელევიზორი მოჰპარეს.

ადგილზე პოლიცია იმყოფებოდა და სამძებრო სამუშაოები მიმდინარეობდა. მომხდარზე გამოძიება ქურდობის მუხლით დაიწყო, თუმცა გამოძიებისთვის ჯერჯერობით დაუდგენელია ვინ და როგორ მოიპარა კაბინეტიდან ტელევიზორი. თავად გამგებელ გაგა ცხომელიძეს მომხდარზე საუბარი არ სურს.

## რუსთავში ბინა დაიწვა

რუსთავში 21-ე მიკრორაიონში ხანძრის დროს სახლი დაიწვა.

საინფორმაციო სააგენტო ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, ერთ-ერთი კორპუსის მე-7 სართულზე ბინაში ხატებთან დანთებული სანთლიდან ნივთებს ცეცხლი წაეკიდა.

შემთხვევის დროს სახლში რამდენიმე ადამიანი იმყოფებოდა, თუმცა არცერთი მათგანი არ დაშავებულა.

ადგილზე მობილიზებული იყო სახანძრო სამაშველო სამსახურის 3 ეკიპაჟი, პოლიციისა და სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ეკიპაჟები.

## ავლაბარში ავტომობილი ბავშვს დაეჯახა

„ჩემი ქალაქი მკლავს“ სოციალურ ქსელში ფოტოს აქვეყნებს და წერს:

„ავლაბარში ავტომობილი ბავშვს დაეჯახა. ბავშვი ცოცხალია.

თვითმხილველების ინფორმაციით, ბავშვმა გზაზე გადაირბინა რის შემდეგაც მოხდა შეჯახება!

მივმართავთ ქვეითებს, გზაზე გადადით ზებრა გადასასვლელზე და დაიცავით მოძრაობის წესები!“

## მარნეულში 15 წლის მოზარდს ავტომობილი დაეჯახა

თვითმხილველების თქმით, რუსთაველის ქუჩაზე საავტომობილო გზაზე მოზარდი ველოსიპედით გადადიოდა, რა დროსაც ავტომობილი დაეჯახა. ის მსუბუქი დაზიანებებით სასწრაფომ კლინიკაში გადაიყვანა. ადგილზე საპატრულო პოლიცია იყო გამოძახებული.

## საბერძნეთში არისტოტელეს უნივერსიტეტთან 23 წლის ქართველი დაჭრეს

საბერძნეთში, არისტოტელეს უნივერსიტეტთან, კიმეიოს მოედანზე სროლის შედეგად ერთი ადამიანი დაიჭრა.

ბერძნული მედიის ინფორმაციით, დაშავებული 23 წლის კაცია. ის საავადმყოფოში ორმა მეგობარმა მიიყვანა, შემდეგ კი ტერიტორია სწრაფად დატოვეს. ახალგაზრდას ოპერაცია ჩაუტარდა. მედიის ცნობით, დაშავებულს საბერძნეთის მოქალაქეობა აქვს, თუმცა წარმოშობით ქართველია. წარსულში ის ყაჩაღობისა და ნარკოტიკების საქმეებში ფიგურირებდა. დაშავებული ამბობს, რომ მას მოულოდნელად ორი უცხოელი დაესხა თავს და ფეხებში ესროლეს.

ბერძნულ მედიაში წერენ, რომ საქმე, სავარაუდოდ, „ანგარიშსწორებას“ უკავშირდება, რადგან დაშავებულს ყაჩაღობის საქმეზე წინასწარი პატიმრობა ჰქონდა შეფარდებული და ციხიდან 1 თვის წინ გათავისუფლდა.

შემთხვევის ადგილზე ტყვიის 7 მასრა იპოვეს. პოლიციამ მომხდართან დაკავშირებით 8 პირი დააკავა. აქედან 5 – უნივერსიტეტთან, 3 კი – მიმდებარე ტერიტორიაზე. მოგვიანებით ისინი გაათავისუფლეს, რადგან გაირკვა, რომ ინციდენტში არ მონაწილეობდნენ.

## პოლონეთში საქართველოს მოქალაქე დააკავეს

### ქართველ „კურიერს“ 15 ერაყელი საზღვარზე უკანონოდ გადაჰყავდა

პოლონეთში საქართველოს მოქალაქე დააკავეს. საქართველოს მოქალაქე, რომელსაც 15 ერაყელი პოლონეთ-ლიეტუვის საზღვარზე უკანონოდ გადაჰყავდა, მესაზღვრეებმა პოდლასიეში დააკავეს.

პოდლასიეს სასაზღვრო დაცვის განყოფილების სპიკერმა კატარინა ზდანოვიჩმა თქვა, რომ სასაზღვრო დაცვის ოფიცრებმა ფოლკსვაგენის მარკის გადამზიდი შეამოწმეს, რომელსაც პოლონური სარეგისტრაციო ნომრები ჰქონდა.

უწყების ცნობით, მანქანას 27 წლის ქართველი მართავდა, ფოლკსვაგენში კი 15 ერაყელი იმყოფებოდა. ზდანოვიჩის თქმით, ოფიცრებმა დაადგინეს, რომ უცხოელები არალეგალურად კვეთდნენ პოლონეთ-ლიეტუვის საზღვარს. „ერთადერთი საბუთი, რომელიც მათ თან ჰქონდათ, ლიეტუვის უცხოელთა ცენტრის მოწმობები იყო“, – დასძინა მან.

პოლონური გამოცემის ცნობით, ყველა უცხოელი დააკავეს. მათივე ინფორმაციით, სასამართლოს განჩინების საფუძველზე 27 წლის „კურიერი“ სამი თვით დააკავეს. რაც შეეხება ერაყელებს, ისინი, გამოცემის ცნობით, ლიეტუვის მხარეს გადასცეს.

სტატიაში აღნიშნულია, რომ პოლონეთ-ლიეტუვის საზღვარს სულ უფრო მეტი მიგრანტი კვეთს.

## ზელენსკი: „მტერს ამ დრომდე არ აქვს გამბედაობა, აღიაროს დამარცხება“



უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, უკრაინელი მებრძოლების წარმატებისა და რუსული დანაკარგების მიუხედავად, მტერს ამ დრომდე არ აქვს გამბედაობა, აღიაროს დამარცხება და წავიდეს უკრაინული მიწიდან. ამის შესახებ ქვეყნის პირველმა პირმა ვიდეომიმართვაში ისაუბრა.

– რუსეთის ფედერაციამ უკვე კარგად იგრძნო, რას ნიშნავს თანამედროვე არტილერია და მათ არ ექნებათ უსაფრთხო ზურგი არსად ჩვენს მიწაზე, რომლის ოკუპაციაც მოახდინეს. მათ იგრძნეს, რომ ჩვენი მზვერავების ოპერაცია საკუთარი სამშობლოს დასაცავად ბევრად ძლიერია, ვიდრე ნებისმიერი მათი სპეცოპერაცია.

რუს ჯარისკაცებს, ჩვენ ეს ვიცით მათი საუბრის მოსმენის შედეგად, გულწრფელად ეშინიათ ჩვენი შეიარაღებული ძალების. 139 დღე ასეთი ომის, თითქმის 20 კვირა, მსოფლიოში ე.წ. მეორე ჯარს ეშინია უკრაინელების და შეუძლია რამის გაკეთება მხოლოდ ძველი საბჭოთა იარაღის უსაზღვრო მარაგის წყალობით. აღარ აქვთ მათ არც სტრატეგიული ძალა, არც ხასიათი, არც აღქმა იმისა, საერთოდ რას აკეთებენ აქ, ჩვენს მიწაზე, არ აქვთ მცირეოდენი გამბედაობაც კი, აღიარონ დამარცხება და წაიყვანონ ჯარი უკრაინული მიწიდან, – განაცხადა ზელენსკიმ.

პრეზიდენტის თქმით, უკრაინას შესწევს ძალა, თავი დაიცვას, ხელახლა ააშენოს და განახორციელოს ყველა საგარეო პოლიტიკური მიზანი.

– როდესაც ამისთვის გულწრფელად მუშაობს მილიონობით ადამიანი – ყველა თავის დონეზე, შედეგი აუცილებლად იქნება, – განაცხადა ზელენსკიმ.

## ვინ აპირებს ინგლისის პრემიერობას



ცნობილია იმ კანდიდატების ვინაობა, რომლებიც დიდ ბრიტანეთში „კონსერვატიული პარტიის“ ახალი ლიდერის არჩევნების პირველ ტურში გავიდნენ.

ამის შესახებ ინფორმაციას სკაი ნიუსი ავრცელებს.

პირველ ტურში 8 კანდიდატი გავიდა: ხაზინის ყოფილი ხელმძღვანელი რიში სუნაკი; ვაჭრობის მინისტრი პენნი მორდაუნტი; თემთა პალატის საგარეო ურთიერთობათა სპეციალური კომიტეტის თავმჯდომარე ტომ ტუგენდჰატი; საგარეო საქმეთა მინისტრი ლიზ ტრასი; ინგლისისა და უელსის გენერალური პროკურორი სუელლა ბრეივერმანი; ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი ჯერემი ჰანტი; თანასწორობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ყოფილი მინისტრი კემი ბადენოხტი; განათლების ყოფილი მინისტრი ნადჰიმ ზაჰავი.

ხვალ გაიმართება ხმის მიცემის პროცედურა, რომლის შედეგადაც კანდიდატების რაოდენობა კიდევ უფრო შემცირდება. არჩევნების პროცესში მონაწილეობისთვის კანდიდატებმა ხვალ 30 დეპუტატის მხარდაჭერა უნდა დაიმსახურონ.

საბოლოო ჯამში, პრეტენდენტების რაოდენობა 2-მდე უნდა შემცირდეს და „კონსერვატიული პარტიის“ დაახლოებით 160 ათასმა წევრმა მათ ხმა უნდა მისცეს.

საბოლოო შედეგი 5 სექტემბერს იქნება ცნობილი.

## რუსებმა უკრაინაში 249 ბავშვი მოკლეს



რუსმა ოკუპანტებმა უკრაინაში შეჭრის დაწყების დღიდან 249 ბავშვი მოკლეს. ამ ინფორმაციას უკრაინის გენერალური პროკურატურა ავრცელებს.

„13 ივლისის დილისთვის არსებული ოფიციალური მონაცემებით, დაიღუპა 249 ბავშვი და დაშავდა 652-ზე მეტი“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

უკრაინის გენერალური პროკურატურის მონაცემებით, ყველაზე მეტი, 352 ბავშვი, დონეცკის ოლქში დაიღუპა და დაშავდა. უწყების განმარტებით, ეს მაჩვენებლები არ არის საბოლოო, რადგან გრძელდება მუშაობა დროებით ოკუპირებულ და გათავისუფლებულ ტერიტორიებზე აქტიური საომარი მოქმედებების ადგილებზე.

## „ტვიტერი“ ელონ მასკს სასამართლოში უჩივის



„ტვიტერმა“ მილიარდერი ელონ მასკის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა.

მედიის ინფორმაციით, კომპანიამ ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც მასკმა განაცხადა, რომ უარს აცხადებს „ტვიტერის“ 44 მილიარდ აშშ დოლარად შესყიდვაზე.

„ტვიტერი“ მასკს შესყიდვასთან დაკავშირებული შეთანხმების დარღვევაში ადანაშაულებს, რამაც, სარჩელის თანახმად, „ტვიტერი“ და მისი ბიზნესი დააზარალა.

„საჯარო სპექტაკლის მოწყობისა და გამყიდველთან ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ მასკი აშკარად თვლის, რომ მას თავისუფლად შეუძლია გადაიფიქროს, გაანადგუროს კომპანია, ჩაშალოს მისი ოპერაციები, გაანადგუროს აქციონერის ღირებულება“, – ნათქვამია სარჩელში.

შეგახსენებთ, რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ ილონ მასკს სურს, შეწყვიტოს 44 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების გარიგება სოციალურ ქსელ „ტვიტერის“ შეძენასთან დაკავშირებით.

## სირიაში „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი ლიდერი ლიკვიდირებულია

ამერიკის შეერთებული შტატების საავიაციო თავდასხმის შედეგად სირიაში ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი ლიდერი ლიკვიდირებულია.

ლიკვიდირებული ლიდერი მაჰერ ალ-აგალა ტერორისტული დაჯგუფების ლიდერების ხუთეულში შედიოდა. ამის შესახებ ინფორმაციას „როიტერი“ ამერიკის შეერთებული შტატების საჰაერო ძალების სარდლობაზე დაყრდნობით ავრცელებს.

„ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი ლიდერი უპილოტო საფრენი აპარატიდან გასროლით სირიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მოკლეს. კიდევ ერთმა, მაჰერ ალ-აგალასთან დაახლოებულმა მებრძოლმა, მძიმე დაზიანებები მიიღო.

„ეს ოპერაცია ძალიან ყურადღებით იყო დაგეგმილი, რათა მისი წარმატებით განხორციელება ყოფილიყო უზრუნველყოფილი. წინასწარი ანალიზი აჩვენებს, რომ ოპერაციას მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი არ მოჰყოლია“, – ნათქვამია განცხადებაში. ამასთან, განცხადებაში აღნიშნულია, რომ „ისლამური სახელმწიფო“ ჯერ კიდევ წარმოადგენს საფრთხეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი პარტნიორებისთვის რეგიონში.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

### კალეიდოსკოპი

## გაცოფებულმა სოფლელებმა ბავშვის მკვლელი ლეოპარდი მოკლეს



ინდოეთში ოთხი წლის ბიჭი ლეოპარდმა გაიტაცა, ტყეში შეათრია და დაგლიჯა. 7 ივლისს მეხრაზ აზად მირი სოფელ რაჯოპაში, რომელიც ჯამუს და ქაშმირის სამოკავშირეო ტერიტორიაზე მდებარეობს, ბიძის სახლის ეზოში თამაშობდა. მოულოდნელად სახლთან ლეოპარდი გამოჩნდა. რამდენიმე თვითმხილველის თვალწინ მან ბავშვს პირი სტაცა და ტყისკენ წაათრია.

– ჩვენ ბავშვის ყვირილი შემოგვესმა, შემდეგ კი რამდენიმე ადგილობრივი ლეოპარდს გაეკიდა, – განაცხადა სოფლის მცხოვრებმა აიჯაზ ახმედმა.

მტაცებელმა მსხვერპლის ნახევარ კილომეტრზე გათრევა და მისთვის მძიმე დაზიანებების მიყენება მოასწრო, სანამ ადევნებული სოფლის მცხოვრებლები მიაგნებდნენ. მათ მტაცებელი ბუჩქებში მიყუჟული იპოვეს, კბილებით კი ბავშვის სხეული ეჭირა. გაცოფებულმა ხალხმა მტაცებელი ადგილზევე მოკლა, ხოლო ბავშვი სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ბავშვი კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და მიუხედავად ექიმების მცდელობისა, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## პოლონარას უარი შენგელიას გამო



საკალათბურთო ევროლიგის მონაწილე ვირტუს ბოლონიას, რომლის შემადგენლობაში თორნიკე შენგელია თამაშობს, ტრანსფერის განხორციელება სურდა, მაგრამ ჩაეშალა.

იტალიურ გრანდს აკილე პოლონარას გადაბირება სურდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ტრანსფერზე უარი სწორედ თორნიკე შენგელიას გამო თქვა.

**დარიო რონცული:**

– ტრანსფერი არ შედგება. ამის მიზეზი პოლონარას ბასკონიაში ყოფნის პერიოდია და აღარ სურს, რომ შენგელიასთან ერთად გუნდში კიდევ ერთხელ აღმოჩნდეს. იტალიელმა კალათბურთელმა ვირტუს ბოლონიას შეატყობინა, რომ ბასკონიაში ყოფნისას ქართველ კალათბურთელთან რამდენიმე პრობლემა ჰქონდა და დასძინა, რომ არ სურს, მისი თანაგუნდელი კიდევ ერთხელ იყოს. მოლაპარაკებები სწორედ ამან შეაფერხა და მოგვიანებით გარიგება ჩაიშალა.

შენგელია ვირტუს ბოლონიას მიმდინარე წლის მარტში შეუერთდა და კლუბთან ერთად ევროთასის გამარჯვებული გახდა, ბასკონიაში კი 2012-20 წლებში თამაშობდა და მისი კაპიტანიც იყო. შენგელია და პოლონარა თანაგუნდელები 2019-20 წლებში იყვნენ.

## ზაგრებში ძიუდოისტთა ნაკრები ლიპარტელიანს მოისაკლისებს



15-17 ივლისს ძიუდოში ზაგრების გრან პრი გაიმართება. საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ლაშა გუჯეჯიანის თქმით, ეს იქნება მსოფლიო ჩემპიონატისთვის უმთავრესი ტურნირი და შემადგენლობაც სწორედ ამ გუნდიდან შეირჩევა.

ცხადია, ძირითად ბირთვზეა საუბარი, თორემ ოქტომბრამდე, როდესაც მუნდიალი გაიმართება, დიდი დროა და ცვლილებები მოსალოდნელია.

ხორვატიაში ნაკრებს ერთი კაცი გამოაკლდა – გუნდის კაპიტანი ვალერი ლიპარტელიანი (100). შეგახსენებთ, რომ ლიპომ ახლახან ბუდაპეშტში დიდ სლემზე იჭიდავა და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ჩვენმა ნაკრებმა თავდაპირველად საჭიდაოდ 12-კაციანი განაცხადი წარადგინა – 10 ვაჟი და 2 ქალი, მაგრამ ლიპარტელიანის გამოკლების შემდეგ 11 მონაწილით დარჩა.

**კაცები:** გიორგი სარდალაშვილი (60); ვაჟა მარგველაშვილი (66); ლაშა შავდათუაშვილი, გიორგი ტერაშვილი (ორივე 73); ტატო გრიგალაშვილი, გიორგი შერაზადიშვილი (ორივე 81); ბექა ღვინიაშვილი (90); ილია სულამანიძე (100); გელა ზაალიშვილი (+100).

**ქალები:** ეთერ ლიპარტელიანი (57); სოფიო სომხიშვილი (+78).

## უკრაინა საფეხბურთო ჩემპიონატს განაახლებს




უკრაინაში ომი გრძელდება. აგრესიული რუსეთი ხან ერთ ქალაქს ბომბავს, ხანაც – მეორეს. და მაინც, ამ პირობებში უკრაინელები აპირებენ საფეხბურთო ჩემპიონატის განახლებას.

უკრაინის სპორტის მინისტრმა ვადიმ გუცაიტმა განაცხადა, რომ ჩემპიონატის განახლება იგეგმება.

**ვადიმ გუცაიტი:**

– უკრაინის საფეხბურთო ჩემპიონატი 23 აგვისტოს განახლდება. ფედერაციასთან ერთად განვიხილეთ, თუ როგორ უნდა გავუკეთოთ ორგანიზება და ჩემპიონატი საომარ ვითარებაში რა ინტენსივობით უნდა ჩატარდეს. 23 აგვისტოს უკრაინა დროშის დღეს აღნიშნავს, ხოლო 24 აგვისტოს – დამოუკიდებლობას. ჩემპიონატის განახლების შემდეგ სტადიონზე ბევრ მაყურებელს არ დავუშვებთ, ხოლო თუ საჰაერო თავდასხმა დაიწყება, სასწრაფოდ ევაკუაციის გეგმას მივმართავთ. ზოგადად, ვგეგმავთ, რომ ყველა მატჩი მაყურებლების გარეშე და უსაფრთხოების მაქსიმალური დაცვით ჩატარდეს. ჯერჯერობით ვერაფრის გარანტიას ვერ მოგცემთ. იმ პერიოდში, როცა რუსეთი გვიტევს, ყველაფერი სახიფათოა, მაგრამ უკრაინა გამუდმებით ბრძოლასა და იმის მტკიცებას აგრძელებს, რომ გამარჯვებული ერია!

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

### კალეიდოსკოპი

## მამაკაცმა მამალი მოკლა და ციხეში მოხვდა



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ჯექსონვილში მამაკაცმა თავი ციხეში მას შემდეგ ამოჰყო, როდესაც მეზობლის მამალი, რომელიც მას უტევდა, ჯოხით მოკლა.

მეზობლები ჯეიმს ნიკსი და ჯეისონ დეფელისი ახლობლები იყვნენ და მათ ერთმანეთთან კონფლიქტი არ ჰქონიათ იმ მომენტამდე, სანამ დეფელისის მამალი ნიკსის ნაკვეთზე არ შეიჭრა. იმ დღეს მამაკაცი სახლიდან გამოვიდა საფოსტო ყუთის შესამოწმებლად, რა დროსაც უცნაური ხმაური შემოესმა. ის შეტრიალდა და მეზობლის მამალი დაინახა.

ნიკს არ მოეწონა, რომ მამალი მის ტერიტორიაზე იმყოფებოდა და მის გასაგდებად მიწიდან ჯოხი აიღო. თუმცა, მისი თქმით, ყველაფერი მისთვის მოულოდნელი სცენარით განვითარდა და მამალი მას თავს დაესხა. მამაკაცი თავის დაცვას შეეცადა, რა დროსაც ჯოხი მამალს თავში მოხვდა. ამის შედეგად მამალი ადგილზევე დაიღუპა.

დეფელისმა თავისი ფრინველის გაქრობა სახლში დაბრუნების შემდეგ აღმოაჩინა, მისი თქმით, მამალი მას მუდამ უკან დაჰყვებოდა, როდესაც ის თავის ნაკვეთში დადიოდა. იმ დღეს კი მამალი არსად ჩანდა. მან მისი მოძებნა გადაწყვიტა და მეზობლის ტერიტორიაზე მკვდარი აღმოაჩინა. ამის დანახვაზე მან ღრიალი მორთო, რაზეც ნიკსი გამოეხმაურა და უთხრა, რომ მისი მამალი მას შემოაკვდა და სთხოვა, მისი ტერიტორია დაეტოვებინა.

გააფთრებულმა დეფელისმა ცხოველთა დაცვის ორგანიზაციას მიმართა. მისმა თანამშრომლებმა გამოძიება ჩაატარეს, რის შემდეგაც ნიკსმა 30 საათით ამოჰყო თავი ციხეში ცხოველის მიმართ სასტიკი მოპყრობის ბრალდებით.

## დააკავეს ქურდი, რომელიც ნაქურდალს ღატაკებს ურიგებდა



ტაილანდში პოლიციამ დააკავა ქურდი, რომელიც მობილურ ტელეფონებს იპარავდა და შემდეგ ნადავლს რობინ ჰუდივით ღატაკებს ურიგებდა.

მოუხელთებელი დამნაშავის ძებნა ნახევარ წელზე მეტხანს გრძელდებოდა. ამ დროში მან მოასწრო კავშირგაბმულობის კომპანია ბანანა იტ-ს სამი სალონის გაქურდვა. ის მეოთხე ქურდობიდან მეორე დღეს დააპატიმრეს. ქურდი აღმოჩნდა 23 წლის ბანგკოკელი ჯეკ-ისმა-აე ჰამა.

ბოლო ქურდობის დროს სათვალთვალო კამერის მიერ გადაღებულ ვიდეოზე ჩანს, თუ როგორ შეაღწია კავშირგაბმულობის სალონში ტრუსების ამარა მყოფმა ახალგაზრდა ტაილანდელმა, სახეზე სამედიცინო ნიღბით და იქიდან 123 სხვადასხვა დასახელების საქონელი გაიტანა, რომელთა უმრავლესობას მობილური ტელეფონები შეადგენდა. მის მიერ მოპარული ნივთების საერთო ღირებულებამ 1,9 მილიონი ბატი შეადგინა.

დაპატიმრების შემდეგ ჰამას ბინაში ჩატარებული ჩხრეკის დროს 89 მოპარული მობილური ტელეფონი აღმოაჩინეს.

– მე მხოლოდ ბანანას მაღაზიებიდან ვიპარავ, ვინაიდან მიყვარს ბანანები და ყვითელი ფერი, – განმარტა მან, – გასაქურდად ტრუსის ამარა იმიტომ შევდივარ, რომ ესეც მომწონს. ასე უფრო თავდაჯერებული ვარ.

მისი თქმით, მობილური ტელეფონების მოპარვა იმიტომ დაიწყო, რომ ბავშვობაში არ ჰქონდა თავისი, განსხვავებით ყველა მისი ნაცნობისაგან. ნაქურდალს ჰამა ბანგკოკსა და ქალაქ ნარატხივატში უსახლკაროებს ურიგებდა, ვინაიდან ადრე ისიც ქუჩაში ცხოვრობდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ექვსი ერის კარს იტალიის ნაკრების დამარცხებით ვერ გავაღებთ



კვირას რაგბი ევროპის მუდმივმა გამარჯვებულმა საქართველოს ნაკრებმა ისტორიაში პირველად ტიერ 1-ის წარმომადგენელს მოუგო.

ბათუმში „ბორჯღალოსნებმა“ იტალია 28:19 დაამარცხეს. ცხადია, ამის შემდეგ დაიწყო ის ყბადაღებული საუბრები, რომ 6 ერი დახურული ტურნირი არ უნდა იყოს და შანსი სხვებსაც მიეცეთ. პირველ რიგში საუბარია საქართველოზე. ეს ყველაფერი კი მეტ კონკურენციას გამოიწვევს.

ერთ-ერთი ბრიტანული სარაგბო გამოცემა წერს, თუ საქართველომ 6 ერში გაწევრიანების შანსი ვერ მიიღო, რაგბი საკუთარ ზრდას ხელს შეუშლის.

– ბათუმში ყველა დროის ერთ-ერთი უდიადესი და სიმბოლური მატჩი ვიხილეთ. ივლისის მე-2 კვირის უქმეებზე, როცა ტიტანების დაპირისპირებები გაიმართა, საქართველოსა და იტალიის მატჩმა ყველაზე დიდი ეფექტი მოახდინა. საქართველოს 20.000 გულშემატკივარი უჭერდა მხარს. მატჩი უაღრესად დაძაბული გამოდგა, მაგრამ მაინც კრეატიული და სუფთა რაგბი ვიხილეთ. მიუხედავად ამისა, ეს მატჩი ისტორიას სხვა რამის გამოც დარჩება. ქომაგებით შთაგონებულმა მასპინძლებმა პირველიდან ბოლო წუთამდე იბრძოლეს, ფიზიკური ორთაბრძოლები მოიგეს, დომინირებდნენ და მატჩის ხასიათს მთელი შეხვედრის განმავლობაში აკონტროლებდნენ. საქართველოსთვის ამ გამარჯვებას სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა და 6 ერში იტალიის ადგილთან და „ბორჯღალოსნების“ შეყვანასთან დაკავშირებით შეკითხვები კიდევ ერთხელ გაჩნდა. ბევრი ადამიანი განიხილავს, რომ 6 ერის ბოლოადგილოსანსა და რაგბი ევროპის ჩემპიონს შორის ფლეი ოფი გაიმართოს, რაც საქართველოსა და იტალიის მატჩებამდე მიგვიყვანს. „ბორჯღალოსნების“ გარდა, საქართველოს 20 წლამდე გუნდიც მაღალ დონეზე თამაშობს და გასულ კვირას შოტლანდია 55:17 გაანადგურა, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ თუ ახლა მზად არ არიან, მალე ნამდვილად იქნებიან.

საქართველოს ნაკრების გამარჯვებაზე წერს ავტორიტეტული ესპანური გამოცემა მარკაც.

– 6 ერში და სამხრეთ ნახევარსფეროს სარაგბო ჩემპიონატებში ფლეი ოფის შემოღების საკითხი აქტუალური თემაა. განსაკუთრებით, იმ ქვეყნებსა და გუნდებში, რომლებსაც ამ ტურნირებზე წარმომადგენლები არ ჰყავთ. საუბარი ჩაკეტილ ტურნირებს ეხება, რომელთა მმართველ ორგანოებს სრული ძალაუფლება აქვთ და, როგორც ჩანს, მათთვის ტურნირის გაუმჯობესება და რომელიმე წევრის რისკის ქვეშ დაყენებას არ გულისხმობს. აღნიშნული ტურნირების მმართველ ორგანოებს ეკონომიკური სტაბილურობის გარდა, არგუმენტად ის მოჰყავთ, რომ ტიერ 1-ის გუნდებსა და სხვა გუნდებს შორის სათამაშო დონის მხრივ, უდიდესი სხვაობაა, მსოფლიო რაგბის მმართველები კი ამ საკითხს პრობლემად არ აღიქვამენ. ისინი დიდად მხარს არ უჭერენ, რომ ტიერ 1-ისა და ტიერ 2-ის გუნდების გზები ხშირად გადაიკვეთოს. არადა, ტიერ 2-ის გუნდებმა რომ პროგრესს მიაღწიონ, სწორედ ესაა საჭირო. რეალურად, ტიერ 1-ის გუნდებს ტიერ 2-ის გუნდების დამარცხება არ უჭირთ, მაგრამ გასულ კვირას „ანომალიას“ ჰქონდა ადგილი. საქართველომ, რომელიც 6 ერის ბ დივიზიონში ან, თუ გნებავთ, რაგბი ევროპის ჩემპიონატში, ყველაზე ძლიერი გუნდია, იტალია 28:19 დაამარცხა და 6 ერის წარმომადგენლის წინააღმდეგ ისტორიაში პირველი გამარჯვება მოიპოვა. მართალია, ეს 6 ერის ყველაზე სუსტ ნაკრებთან გააკეთა, მაგრამ „ბორჯღალოსნების“ გამარჯვება ისტორიული ნამდვილად იყო. მატჩამდე იტალია მსოფლიო რეიტინგის მე-12 ნომერი გახლდათ და საქართველოს უსწრებდა, მაგრამ „ბორჯღალოსნებთან“ მარცხის შემდეგ მე-14 ადგილამდე დაქვეითდა. „აძურის“ 6 ერთან კონტრაქტი 2025 წლამდე აქვს და საქართველოს ნაკრების თავკაცი ლევან მაისაშვილი თვლის, რომ ეს გამარჯვება მის გუნდს ევროპის ყველაზე პრესტიჟული ტურნირის კარს ვერ გაუღებს.

საქართველოს გამარჯვება რაგბი ევროპის პრეზიდენტმა ოქტავიან მორარიუმაც მიულოცა, მაგრამ თვლის, რომ დღევანდელი მონაცემებით რამე ცვლილებები ნაკლებად არის მოსალოდნელი.

**ოქტავიან მორარიუ:**

– უდიდესი მილოცვა ყველა იმ ადამიანს, რომელიც ქართულ რაგბისთან არის კავშირში. მათ ბათუმში ისტორიული საღამო ჰქონდათ. ჩვენს შეჯიბრებებში რაგბის ელიტური დონე ვნახეთ და გვჯერა, რომ თამაშის შემდგომი ზრდისთვის ასეთი მატჩები ხშირად უნდა ტარდებოდეს. თუმცა, ყველამ ვიცით, რომ სამწუხაროდ, ევროპული და საერთაშორისო რაგბის დღევანდელი სტრუქტურა ამის საშუალებას უახლოეს მომავალში არ იძლევა. ჩვენ ვიქნებით პირველები, რომლებიც მაგიდასთან დავსხდებით და ყველა შესაძლო ვარიანტს განვიხილავთ იმისთვის, რათა ასეთი მატჩები ხშირად გაიმართოს.

როგორც ხედავთ, მიუხედავად იტალიელებთან გამარჯვებისა, 6 ერის კარი ჩვენთვის ჯერ ისევ დახურული იქნება.

# 20 წლამდე მორაგბეთა ნაკრები საფრანგეთთან მეტოქეობაში დამარცხდა



უმცროსმა „ბორჯღალოსნებმა“ 20 წლამდე 6 ერის ზაფხულის სერიებში ირლანდიასა და შოტლანდიას გადაასწრეს და მე-6 ადგილი დაიკავეს.

ლადო კილასონიას შეგირდებს მე-5 ადგილისთვის საფრანგეთის დამარცხების შანსი ჰქონდათ, მაგრამ შეცდომები დაუშვეს, მატჩის დებიუტში მოპოვებული 10-ქულიანი უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს, მე-2 ტაიმში კი რიცხობრივი უპირატესობით ვერ ისარგებლეს და ასაღები ქულები მეტოქეს გაატანეს.

მთლიანობაში, გუნდმა მაღალი დონის მეტოქეებთან თამაშით დიდი გამოცდილება შეიძინა, 4-ვე მატჩში იბრძოლა და ქართული რაგბი 6 ერის ტურნირზე ღირსეულად წარმოაჩინა.

ფრანგები მაღალ ტემპში, ხელდახელ შეტევებით ცდილობდნენ უპირატესობის მოპოვებას, ქართველები თავს კარგად იცავდნენ და, როცა შანსი მიიღეს, დაწინაურდნენ. კარგად იმუშავა კომბინაციამ დერეფნიდან: მცველებისთვის მოულოდნელად ბურთი ნიკა სუთიძეს დაუბრუნდა, მანაც მოკლე ფრთაზე შეუტია და ლელომდე ცოტა დააკლდა, მაგრამ რაქიდან საქმეში ალექსანდრე ქუნთელია ჩაერთო და ოვალი ლელოში ოსტატურად გადადო. პეტრე ხუციშვილმა რთული პოზიციიდან გარდასახა. 23-ე წუთზე მანვე 33 მეტრიდან ჯარიმით უპირატესობა 10 ქულამდე გაზარდა, მაგრამ დასკვნით წუთებში მეტოქემ იმძლავრა.

საფრანგეთმა პირველი ლელო 28-ე წუთზე გაიტანა, როდესაც გრძელი პასის შემდეგ შემტევი მცველთან 1-1-ზე დარჩა და ეს სივრცე კარგად გამოიყენა. 35-ე წუთზე ჩვენს 22-ში ძალისმიერი, ფაზური შეტევები მოვიგერიეთ, მაგრამ ზურგი მოგვიშიშვლდა და მოკლე გადაკიდების შემდეგ მე-2 ლელო მივიღეთ, რასაც სერგი აბრამიშვილის სინბინი მოჰყვა. კაცნაკლულებმა გაწითლებულ დროზე ბურთი არ გადავაგდეთ და ფრანგებმა ლელოთი დაგვსაჯეს – 10:17.

დაიწყო თუ არა მე-2 ტაიმი, ფრანგებმა მორაგბე წითელი ბარათით დაკარგეს. მიუხედავად ამისა, იქვე შეცდომა დავუშვით და მეტოქემ ჯარიმა გაიტანა. ფრანგებს ბურთზე კონტროლის დამყარება გაუძნელდათ, მაგრამ ფაზური შეტევების შემდეგ ნაცად ხერხს მიმართა და გრძელი გადაცემის შემდეგ მორიგი ლელო გაიტანა.

მხოლოდ ამის შემდეგ მოვახერხეთ მეტოქის 22-ში დამკვიდრება, მოლისა და ფორვარდების მიძალებების შემდეგ კიდევ ერთი ფრანგი სინბინით დაისაჯა და 2-კაციანი უპირატესობა 55-ე წუთზე ლელოში ავსახეთ – 5-მეტრიანი დერეფნიდან მოლი კარგად დაიძრა და ლაშა ციხისთავის ლელო ხუციშვილმა გარდასახა.

საფრანგეთმა 10 წუთით გაგდებული მორაგბე დაუბრუნდათ და ჯარიმით მორიგი 3 ქულა აიღო, თუმცა ხშირი ჯარიმების გამო კიდევ ერთი ყვითელი ბარათი მიიღეს და კვლავ 13 კაცით დარჩნენ.

საქართველო 13 ქულით აგებდა და მატჩის მოგების შანსიც იყო. 66-ე წუთზე ჩვენი გუნდი ვალდებული იყო, მეტოქეს კიდევ 7 ქულით მიახლოებოდა, მაგრამ ხანგრძლივი შეტევა, რომელიც ლელოთი უნდა დასრულებულიყო, ფრანგთა მცველმა საკუთარ 5-მეტრიანთან ჩაჭრა და მთელი მოედანი ლელომდე ირბინა – 17:37.

მატჩის ბედიც აქ გადაწყდა. დარჩენილ დროში ქართველები უკვე ულიმლამოდ უტევდნენ, მეტოქემ ერთხელაც ისარგებლა და 44:17 გაიმარჯვა.

# თბილისი 20 წლამდე ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს

15-24 ივლისს თბილისი კალათბურთში ევროპის 20-წლამდელთა ჩემპიონატს (ბ დივიზიონი) უმასპინძლებს. მონაწილეობას 19 ქვეყანა მიიღებს: ალბანეთი, ავსტრია, ბულგარეთი, ესტონეთი, ფინეთი, საქართველო, უნგრეთი, ისლანდია, ირლანდია, კოსოვო, ლატვია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ჩრდ. მაკედონია, რუმინეთი, სერბეთი, სლოვაკეთი, შვედეთი, შვეიცარია.

მატჩებს როგორც ოლიმპიური სასახლე, ასევე ახალი თბილისი არენა უმასპინძლებს. ტურნირის მონაწილე 19 ნაკრები 5 ჯგუფშია განაწილებული. საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ბ ჯგუფში მოხვდა, სადაც მეტოქეებად შვედეთი, ჩრდილოეთი მაკედონია, ავსტრია და კოსოვო ჰყავს.

გათამაშების სისტემის მიხედვით, ჯგუფებიდან 2-2 საუკეთესო ნაკრები ფლეი ოფში გავა, რომლებიც საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას მეოთხედფინალიდან გააგრძელებენ, ხოლო ფლეი ოფს მიღმა დარჩენილი გუნდები 9-19 ადგილებისთვის ითამაშებენ.

ბ დივიზიონის ჩემპიონი, ფინალში დამარცხებული გუნდი და მესამეადგილოსანი ა დივიზიონის საგზურებს მოიპოვებენ და მომავალი წლის ზაფხულში უკვე ელიტაში იასპარეზებენ.

ტურნირის ფავორიტად სერბეთის ნაკრებს მიიჩნევენ. ასევე მძლავრი შემადგენლობით ეწვევა თბილისს ლატვია. თუმცა ასაკობრივ ჩემპიონატებში სიურპრიზები ყოველთვის ხდება და შედეგების მხრივ გამონაკლისი ალბათ არც თბილისი იქნება.

საქართველოს ნაკრებმა ტურნირამდე 3 შეკრება გამართა. მილოშ გლიგორიევიჩის გაწვრთნილი ჩვენი გუნდი ჯერ რაჭაში იმყოფებოდა, სადაც ფიზმომზადება გაიარა, შემდეგ კი საბერძნეთსა და თურქეთში ჯამში 4 სპარინგ-მატჩი გამართა, ხოლო დასკვნითი ამხანაგური თამაში – თბილისი არენაზე. მილოშ გლიგორიევიჩის გაწვრთნილი გუნდის მეტოქე ნიდერლანდები იყო, რომელსაც ქართველებმა სტამბოლში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე 90:71 მოუგეს.

ამჯერად გამარჯვება მეტოქეს დარჩა. თბილისში ევროპის 20-წლამდელთა ჩემპიონატისთვის საასპარეზოდ ნაადრევად ჩამოსულმა ბენილუქსელებმა გაცილებით უკეთ ითამაშეს და ქართველებს დამაჯერებლად – 77:60 სძლიეს.

სტუმრებმა ყველა პერიოდი მოიგეს და საბოლოოდ 17 ქულის სხვაობით იმარჯვეს, რაშიც ლომის წილი 16 ქულისა და 10 მოხსნის მიმთვლელ კრააგს უდევს. საქართველოს ნაკრებში 19 ქულითა და 6 მოხსნით ნიკოლოზ გაფრინდაშვილი გამოირჩა. 9 ქულა, 5 პასი და 4 მოხსნა ლუკა ლიკლიკაძემ მოაგროვა, 8 ქულა და 6 მოხსნა გიორგი



სალარიძის ანგარიშზეა.

ევროპის ჩემპიონატისთვის საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში 12 კალათბურთელია:

**უკანა ხაზი:** ლუკა ლიკლიკაძე, მათე კაპანაძე, ლევან ქვარცხავა;

**ფორვარდები:** ნიკოლოზ გაფრინდაშვილი, ზუკა ვაშაკიძე, მერაბ შენგელია, გუჯა ხვედელიძე, ვახტანგ გოგბერაშვილი, ვლადიმერ თავაქარაშვილი, ვლადიმერ სარალიძე;

**ცენტრები:** გიორგი მესხი, ნიკა რატიანი;

საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელია მილოშ გლიგორიევიჩი, რომელსაც ასისტენტობას ჯაბა ბაქრაძე და ანდრო ანთელიძე უწევენ.

ჩვენი ნაკრების თამაშების განრიგი ასეთია: 16 ივლისს ავსტრიასთან ითამაშებენ, 17 ივლისს – შვედეთთან, 19 ივლისს – კოსოვოსთან და 20 ივლისს – ჩრდ. მაკედონიასთან. ჩვენი ნაკრების ყველა მატჩი ერთსა და იმავე დროს, 19:00 საათზე დაიწყება.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 2. ფრანგი კომპოზიტორი, ოპერა „დონ კიხოტის“ მუსიკის ავტორი; 3. მძლავრი ბუნებრივი მოვლენა; 4. ცირკის არენა; 6. ბალნეოლოგიური კურორტი ოდესის მახლობლად; 9. ყვითელი ფერის მტკიცე, გამჭვირვალე, ფისოვანი მინერალი; 11. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 15. მუდმივი სიდიდე მათემატიკაში; 16. ამერიკული საიუველირო ფირმა; 17. თბილისის ერთ-ერთი რაიონი; 19. თეორემა, რომელსაც მტკიცება არ სჭირდება; 21. გრძელ დისტანციებზე მორბენალი მძლეოსანი; 22. ქართველი ჯაზის მომღერალი ქალი.

**თარაზულად:** 5. ცხოველთა და მცენარეთა ჯიშების გაუმჯობესება ხელოვნური შერჩევის გზით; 7. ნახშირის სახატავი ფანქარი; 8. მსოფლიოში ყველაზე მაღალი ჩანჩქერი; 10. კატისებრთა ოჯახის გარეული ცხოველი; 12. პროფესიონალი ცხენოსანი; 13. იტალიური სამოდელო ფირმა; 14. ელჩის გაწვევა სახელმწიფოდან; 18. სახელმწიფო ფულადი გადასახადი თითოეულ კომლზე ძველად საქართველოში; 20. ზღვისპირა კურორტი ესტონეთში; 23. კინოფესტივალის სახელწოდება იტალიაში; 24. ქართული ლუდი; 25. ქვევრის ღვინოში არსებული მრთიმლავი ნივთიერება; 26. ზღვის სიღრმის გასაზომი ხელსაწყო; 27. გულის ნორმალური მუშაობის რიტმის დარღვევა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. როლექსი; 2. ფეთხთაინი; 3. ბრავადა; 5. რადიაცია; 7. ციკლონი; 9. ბაქშტაინი; 13. მანტისა; 15. ნორგეი; 16. ტორერო; 18. ცაიში.

**თარაზულად:** 4. ბოლერონი; 6. ბრეტიორი; 8. ბენედიქტინი; 10. ხალვაში; 11. ქადა; 12. ანდები; 14. უნაბი; 17. ტაიგა; 19. არჩვი; 20. დეკალოგი; 21. იოდი; 22. რინოსკოპი; 23. ჭინჭილა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჟიგოლო; 2. კილტი; 3. ბრიუგე; 4. ავუარი; 6. შტრაუსი; 9. კრონა; 11. რიტუალი; 15. რუდიმენტი; 16. ტეკილა; 17. ბიურგერი; 19. აბსურდი; 21. გაბროვო; 22. ანდები.

**თარაზულად:** 5. ჰიდრანტი; 7. ტრამვაი; 8. სულიკო; 10. კრიკინა; 12. მანტო; 13. კლიშე; 14. მონორელსი; 18. აბუჯა; 20. ლევილი; 23. ანემია; 24. ბეკი; 25. მალაგა; 26. ბუტი; 27. ყვარელი.

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

ახალი თაობა
Akhali Taoba
გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

14 ივლისი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.8643 |
| ევრო | 2.8815 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 3.4128 |
| 100 რუსული რუბლი | 4.8504 |

## ამინდის პროგნოზი 14 ივლისისათვის




## კლოპი: „გუნდი სეზონისთვის აქტიურად ემზადება“



ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ მისი გუნდი მომავალი სეზონისთვის აქტიურად ემზადება და შესაძლოა, მათ რამდენიმე ტრანსფერიც განახორციელონ, მაგრამ ეს ჯერჯერობით კითხვის ნიშნის ქვეშ არის:

– არ ვიცი, ვის ვიყიდით, მაგრამ, ფაქტია, რომ გაძლიერება ყველა გუნდს სჭირდება და ჩვენ ამ მხრივ გამონაკლისი არ ვართ. მალე გულშემატკივარი ყველაფერს გაიგებს.

## ლევანდოვსკის ბაიერნში დარჩენა არ სურს




მიუნხენის ბაიერნის პოლონელ ფორვარდ რობერტ ლევანდოვსკის არ სურს გუნდში დარჩენა, რადგან მისი მიზანი ბარსელონაში თამაშია და ლევანდოვსკი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ეს ტრანსფერი ამ ზაფხულს განხორციელდეს.

ტრანსფერს ბაიერნი აფერხებს, რომელიც 50 მილიონს ითხოვს, ხოლო ბარსელონას მხოლოდ 30-ის გადახდა სურს.

## პსჟ-ს ვინიციუს ჟუნიორის ყიდვა სურდა



ფრანგულ მედიაში საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა იმის შესახებ, რომ ერთი წლის წინ პაჟ-ს ვინიციუს ჟუნიორის ყიდვა სურდა და მზად იყო, ამ ტრანსფერში 160 მილიონი გადაეხადა, მაგრამ რეალმა უარი თქვა.

გარდა ამისა, ვინიციუსის ანაზღაურება წელიწადში 25 მილიონი იქნებოდა, რაც მის ხელფასზე რეალში გაცილებით მეტია. თვითონ ვინიციუსმაც განაცხადა, რომ მას რეალის დატოვება არ სურს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ფილარმონიასთან ძველი შენობის ფრაგმენტები აღმოაჩინეს



მელიქიშვილის გამზირის რეაბილიტაციის დროს ფილარმონიასთან ძველი შენობის ფრაგმენტები აღმოაჩინეს.

ინფორმაცია და ფოტოები რადიო „თავისუფლებამ“ გაავრცელა:

– თბილისში მელიქიშვილის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოების დროს ფილარმონიის წინ აღმოჩენილია ძველი შენობის ფრაგმენტები.

თბილისის მერიის ინფორმაციით, ნანგრევების შესწავლის მოთხოვნით უკვე მიმართეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

14 ივლისისათვის



**ვერძი** – მიღებულ ინფორმაციას გადაუმოწმებლად არ ენდოთ. ხელმძღვანელობა თქვენი მუშაობით უკმაყოფილოა. **კურო** – გელით გაუთვალისწინებელი ხარჯები, თუმცა სულ მალე მატერიალური მდგომარეობა მკვეთრად გაგიუმჯობესდებათ. **ტყუპები** – წარმატებული დღეა. თქვენს შესაძლებლობებს სრულყოფილად წარმოაჩენთ. **კირჩხიბი** – ეჭვიანობა უკუაგდეთ და ირწმუნეთ საკუთარი თავის. თამამად გარისკეთ. **ლომი** – დაგროვილი უარყოფითი ემოციებისგან თავისუფლდებით. გელით საინტერესო ცვლილებები. **ქალწული** – მორალურ პრინციპებს არ უღალატოთ. დაკისრებული მოვალეობები პირნათლად შეასრულეთ. **მშვილდოსანი** – თქვენი სულიერი და შემოქმედებითი პოტენციალი იზრდება. წარსულში დაშვებული შეცდომები გაითვალისწინეთ. **ღრიანკალი** – პირად ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილებებისთვის მოემზადეთ. არასაჭირო კავშირებისაგან თავი შეიკავეთ. **მშვილდოსანი** – კეთილისმყოფელი დღეა. საქმისადმი ერთგულება და პრინციპულობა დადებით შედეგს გამოიღებს. **თხის რქა** – ძველი მეგობრების მონატრება ძლიერია. ნუ გადადებთ მათთან ვიზიტს. ილუზიებს არ აჰყვეთ. **მერწყული** – პლანეტები გწყალობენ. გარშემომყოფებს გულითადად მოეპყარით და ეცადეთ, ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნოთ. **თევზები** – საჯარო სამსახურში დასაქმებულთათვის იღბლიანი პერიოდია. პარტნიორული ურთიერთობები ნაყოფიერი იქნება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ბიჭო, ნათელას ხელს რატომ არ სთხოვ?

– მეშინია!

– რომ უარს გეტყვის?

– არა, რომ დამთანხმდება!

●●●

ერთი მეზობელი მეორეს ეუბნება:

– გოგო, ნათელას ფანჯრიდან ამ დილით სიგარეტის ბოლი გამოდიოდა...

– ჰო, ეტყობა, ახალი ქმარი აირჩია.

●●●

ლიტერატურის ლექტორი სტუდენტს ეკითხება:

– ნებისმიერ მწერალთან შეხვედრისა და გასაუბრების შანსი რომ გქონდეს, რომელს აირჩევდი, ცოცხალს თუ უკვე გარდაცვლილს?

– ცოცხალს...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს უყვება:

– გუშინ გოგონას ქათინაურს ვეუბნებოდი, მან კი სილა გამაწნა.

– რამე შეუფერებელი უთხარი?

– საერთოდ ხმა არ ამომიღია.

– კი მაგრამ, მაშინ ქათინაურს როგორ ეუბნებოდი?

– ხელებით.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– ამ ზაფხულში ამდენი ფულის შოვნა როგორ მოახერხე?

– როგორ და ჩემი ნავით ტურისტები კუნძულზე ას დოლარად გადამყავდა...

– ჰო მაგრამ, ეგ არც ისე ბევრია და...

– სამაგიეროდ, უკან წამოყვანაში 1000 დოლარს ვახდევინებდი!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## თამთა ხუხუნაიშვილი გათხოვდა



„მხოლოდ ქართულის“ ბოლო სეზონის გამარჯვებული, მომღერალი თამთა ხუხუნაიშვილი გათხოვდა.

ხელოვანის რჩეული ავთო ინაიშვილია. სასიხარულო ინფორმაცია თამთამ სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა და ათასობით ერთგული მსმენელი უზომოდ გაახარა.

## მერაბ ფიფია დააჯილდოვეს



„ტელე სინე ვიდეოს“ წამყვანი და მთარგმნელი მერაბ ფიფია დააჯილდოვეს.

მას აკადემიური პალმების ორდენი (ოფიცრის რანგი) გადაეცა.

დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი თბილისში გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ საპატიო სტუმრები, მათ შორის, საფრანგეთის ელჩი საქართველოში დიეგო კოლასი და ფრანგული ინსტიტუტის დირექტორი პიერ კლუე.

## ანსამბლ „ბერმუხას“ ღირსების ორდენი გადაეცა



უხუცესი მოცეკვავეებისგან შემდგარ ანსამბლ „ბერმუხას“ ღირსების ორდენი გადაეცა.

ინფორმაცია პოეტმა გენრი დოლიძემ გაავრცელა:

– ჩვენი ქვეყნის სიამაყესა და ჩვენი კუთხის სიმბოლოს, ანსამბლ „ბერმუხას“, ვულოცავ დამსახურებულ ჯილდოს – ღირსების ორდენს.

ჩემი აზრით, აჭარული ცეკვა მსოფლიოს არამატერიალურ ძეგლთა ნუსხაშია შესატანი. რა მომაჯადოებელი ჰანგები აქვს, ადამიანი კი არა, ხე და მთაც ბეჭებს ათამაშებს „განდაგანას“ გაგონებაზე.

## მაქსიმ გალკინი უკრაინელების დასახმარებლად თბილისში კონცერტს გამართავს



მომღერალი და იუმორისტი მაქსიმ გალკინი თბილისში კონცერტს უკრაინელი დევნილების მხარდასაჭერად გამართავს.

შოუმენი და სატირიკოსი მსმენელს 15 ოქტომბერს თბილისის სპორტის სასახლეში შეხვდება. გალკინი საქართველოში უკრაინიდან დევნილების დასახმარებლად მსოფლიო ტურის ფარგლებში ჩამოვა. ხელოვანი, საქართველოს გარდა, კონცერტებს გამართავს ისრაელში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, პოლონეთში, დიდ ბრიტანეთში, ლიეტუვაში, ლატვიაში, თურქეთში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, ფინეთში, ესპანეთსა და გერმანიაში. კონცერტის ბილეთების გაყიდვა 25 ივლისიდან დაიწყება. მთლიანი ჰონორარი უკრაინიდან დევნილებს მოხმარდება.

## ვაჟა ფშაველას სახლ-მუზეუმში სპექტაკლი გაიმართება



14 ივლისს, ვაჟა ფშაველას დაბადების დღეზე, მის მშობლიურ ჩარგალში მდებარე სახლ-მუზეუმში სპექტაკლი ღია ცის ქვეშ გაიმართება.

ინფორმაცია ვაჟა ფშაველას შთამომავალმა ლელა რაზიკაშვილმა გაავრცელა:

– 14 ივლისს, ვაჟა ფშაველას 161-ე დაბადების დღის აღსანიშნავად (თარიღზე არ ვიკამათოთ, დავუშვათ, რომ ერთ-ერთია), მესხეთის სახელმწიფო პროფესიული თეატრი ვაჟას სახლ-მუზეუმის ეზოში წარმოადგენს სპექტაკლს „სტუმარ-მასპინძელი“.

სანდრო ახმეტელის სახელმწიფო თეატრის, პანტომიმის თეატრისა და რუსთავის თეატრის შემდეგ, მესხეთის სახელმწიფო თეატრი უკვე მეოთხე დასია, რომელიც ვაჟა ფშაველას ფონდის ინიციატივითა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, ვაჟას ეზოში, ვაჟას დაბადების დღის აღსანიშნავად, ვაჟას ნაწარმოების საკუთარ სასცენო ვერსიას წარმოადგენს.

ვაჟასა და თეატრის თაყვანისმცემლებს ვაჟას ეზოში საინტერესო სანახაობა ელით! ამინდები და გზა კარგია, ამან არ დაგაფიქროთ. წარმოდგენა დაიწყება 3 საათზე!

გელოდებით, კიდევ ერთი დღე ვაჟასთან და თეატრთან ერთად, ვაჟას ეზოში!

## „ეზო“ ინოლა გურგულიას ხსოვნის საღამოს უმასპინძლებს



მომღერლისა და კომპოზიტორის ინოლა გურგულიას ხსოვნის საღამო 17 ივლისს „ეზოში“ გაიმართება.

– ინოლას სიმღერები იმ სხივითაა, სიხარულს რომ ანიჭებს მსმენელს. წარმოუდგენელია, ერთხელ მოჰკრა ყური და არ აგეკვიატოს ფრაზა ან მელოდია, ერთდროულად მხიარულიც რომ არის და სევდიანიც. ყველაზე ხშირად ხომ იმას ვამბობთ, რომ ნამდვილი ხელოვნება უძლებს დროს და შექმნიდან 50-60 წლის შემდეგაც ისეთივე აქტუალურია. ზუსტად ასეთია ინოლა გურგულიას შემოქმედება, მუდამ აქტუალური და ერთნაირად საინტერესო სხვადასხვა თაობის მსმენელისთვის.

კომპოზიტორმა, მომღერალმა და პოეტმა ინოლა გურგულიამ თავის შვილებსა და მომავალ თაობებს ძალიან მარტივი, მაგრამ უმნიშვნელოვანესი ანდერძი დაუტოვა: „იმღერეთ ჩემი სიმღერები, რომ ცოცხალი ვიყო!“

ინოლას ანდერძი დღემდე სრულდება – მის სიმღერებს მღერიან მომავალი თაობები.

კვირას, 17 ივლისს, „ეზოში“ აჟღერდება ინოლას სიმღერები. სიმღერებს შეასრულებენ მისი ოჯახის წევრები: დავით შუღლიაშვილი, ია შუღლიაშვილი, თამარ თოლორდავა და თემურ მაისაშვილი.

ინოლას ჰანგებს ასევე გააჟღერებენ: ნოდარიკო ხუციშვილი, დავით კაკულია (კლავიში), თაკო კიკაბიძე, ელენე მაყაშვილი, თეკლე მაყაშვილი, გიორგი ჩაგელიშვილი. დასწრება თავისუფალია, – ნათქვამია „ეზოს“ მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ქართული ხალხური ქალ-ვაჟის ცეკვა; 2. ქალაქი მესხეთში; 3. ამაღლებული ადგილი ეკლესიაში, საიდანაც ლოცვებს წარმოთქვამენ; 5. მეცნიერება სიცოცხლისა და ცოცხალი ორგანიზმების განვითარებისა და კანონზომიერების შესახებ; 7. სახელმწიფო ევროპაში; 9. ცოდვათა მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 13. ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილი; 15; ვულკანიდან მაგმას ამოფრქვევის პროცესი; 16. ქართველი კომიკოსი; 18. მონასტერი ხარაგაულის რაიონში.

**თარაზულად:** 4. ნავთობის საბადო კახეთში; 6. ათქვეფილი კვერცხით, ფქვილით, ძმრით შეზავებული ქათმის წვნიანი კერძი; 8. თანდაყოლილი ჭკუასუსტობა; 10. შემოდგომის ხილი; 11. იაპონური ელექტროტექნიკური კონცერნი; 12. დედამიწის თანამგზავრი; 14. ელექტროავტომობილების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 17. აღმოსავლური ჩასაბერი მუსიკალური საკრავი; 19. შემთხვევით ჩავარდნილი შარი ბილიარდში; 20. ბერიკაობის ერთ-ერთი პერსონაჟის, დევის ნილაბი; 21. მდინარე ფლორენციაში; 22. დოლი, სადაც სხვადასხვა ასაკის ცხენები მონაწილეობენ; 23. სქელი, ეკლიანი ღეროს მქონე უფოთლო ტროპიკული მცენარე.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

